# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 ნოემბერი, 2011 წელი.

№219 (6850)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




# მიშას მარგალიტები

ნურავინ ნუ თქვას, რომ საქართველომ წააგო რაიმე ომი...

ველოსიპედით მინდა ხოლმე აქეთ გადაისეირნება და აქ გადმოსვლა და წრეების დარტყმა...

სუყველაფერი ცისფერი იყოს, ცისფერი სადებავი გვაქვს შემოტანილი, სულყველაფერს შევღებავთ...

არ დაიწყონ ეხლა ის, რო სააკაშვილის ტრაბახმა ტვინი წაჭამა...

4

# პატრიარქი მოსკოვში გაემგზავრა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვში სპეციალური ჩარტერული რეისით გაემგზავრა. უწმინდესთან ერთად დელეგაციაში იმყოფებიან მეუფე საბა, მეუფე გერასიმე, მეუფე ანდრია და მეუფე თეოდორე.

როგორც უწმინდესმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბრძანა, რუსეთის პატრიარქთან შეხვედრისას ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაზე ისაუბრებს. უწმინდესმა ბრძანა, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი და საჭიროა. პატრიარქი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ რუსეთის პატრიარქთან შეხვედრისას საუბარი იქნება ასევე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხზე, ეკლესიათა მსოფლიო კრებაზე, რომელიც უნდა გაიმართოს. უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ მოსკოვში ვიზიტის დროს შეხვდება მოსკოველ ქართველებსა და აფხაზებს, 23 ნოემბერს კი, წმინდა გიორგის წამების დღეს, მოსკოვში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვას აღავლენს.

# მილიარდერი პოლიტიკოსი საქართველოსთვის გუგენჰაიმის სტილის მუზეუმის შექმნას გეგმავს

3

## კონდოლიზა რაისი:

# „.... უფლისწულმა შავი ფარანჯა მომართვა“




9

# ვისაც მტერობა მოსწყურდეს...

7



ვაჟა-ფშაველა – 150

# „ეკუცია მოდის, ეკუცია!“

მკითხველთა უმრავლესობას ალბათ, ახსოვს, გურიაში ალიხანოვ-ავარსკის მიერ მოწყობილი ეგზეკუციებისადმი მიძღვნილ მოთხრობებში დაწერილი ფრაზები, რომლებსაც მოსალოდნელი დარბევის, აწიოკების და გადასახლების შიშით გათანგული გურულები იძახდნენ და შემოსეულ „ყაზახებს“ ტყეში ემალებოდნენ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რას „ფიქრობენ“, ან რას „ეუზნებიან“ ერთმანეთს საქართველოში მდგარი ძეგლები, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების მიერ მათ მიმართ მიმდინარე „ეგზეკუცია“ რომ არაფრით არ „ჩამოუვარდება XIX საუკუნის ბარბაროსობას, უდავო ფაქტია.

„კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს ამტვრევდაო!“

რაც არ უნდა ვისაუბროთ ქართველების პასიურობაზე, როგორც არ უნდა შევაფასოთ იმ ე. წ. „ლიბერასტულ“ იდეოლოგიასთან მიმართებაში საქართველოს მოსახლეობის ინერტულობა, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული სული არ ჩაკლულა და მიუხედავად „მათი“ მცდელობისა, არც ჩაკვდება.

არადა, სასაცილოა, რომ ქართული სულის ჩაკვლას ესენი დავით აღმაშენებლის ძეგლის ნაცვლად, „გიგანტური ველოსიპედის“ დადგმით, ნამდვილი ქართული ლიტერატურის ნაცვლად „ბურჟულიზმის“ „გაპიარებით“, ქართული კინოსა და თეატრის ნაცვლად, „ოცნების ქალაქითა“ და გარემიქსებული „ქეთო და კოტეთი“ ცდილობენ. ცდილობენ და ასრულებენ კიდეც.

იხ. 2 გვ.



## ბეჭედი ბრძენკაცისა

**მიმიხვდით ალბათ, მაღალი ხომ „მაესტროს“ ენაზე კარგა ხანია ნაცების პრეზიდენტის „კლიჩკაა“, ხოლო, ყველაფერ-ყველაზე ძლიერიც და დიდიც რომ მაღალი ღმერთია, აბა ამას რა მკითხაობა უნდა?**

ამით რისი თქმა მსურს, ანუ, რა ქარაგმებით ვლაპარაკობ? ამ კითხვაზე საპასუხოდ ცოტა უკან მომიწევს დახევა...

პატრიარქის ცნობილი ქადაგების შესახებ, სადაც მისმა უწმინდესობამ, რომ იტყვიან ბეჭედი დასვა, როცა ყოველგვარი რიტორიკული ზიგზაგის გარეშე განაცხადა – დიახ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეაო, უკვე ვწერდით. თუმცა არაფერი გვითქვამს მიშნაცების რეაქციაზე და საერთოდ, მას მერე მომხდარ ფაქტებზე თუ მომავალში სავარაუდოდ მოსახდენზე.

– დაუბრუნეთ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა! ზურგს თუ მხარს, ქუჩაში გამოსული ათეულათასობით მრევლიც უმაგრებდა...

თქვენო უწმინდესობავ, კიდევ ერთხელ ვიხრი ქედს თქვენი სიბრძნის წინაშე – რაც მე და ჩემნაირებს უკვე პოზიცია გვეგონა, თურმე შეგნებული პაუზა ყოფილა მხოლოდ და კიდევ ერთხელ ვთხოვ უფალს შენდობას იმ ცოდვისთვის, რასაც პატრიარქის მიმართ გაჩენილი ეჭვები და უნდობლობა ჰქვია...

სხვათა შორის, მიშნაცებიც დაახლოებით ამ დღეში არიან, ოღონდ პირიქით – მათ პატრიარქის ამდენი ხნის დუმილი ეტყობა მისი უწმინდესობის საბოლოო, ბიძინა ივანიშვილის თემაში ჩაურევლობის პოზიციად აღიქვეს: თავები დაიარხეინეს და როგორც მაშინ, 2009 წლის 26 მაისს, საკურთხევლში მიხტომა საჭიროდ აღარ ჩათვალეს, ...

ტეზს ეკადრებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ...

პატრიარქი მოსკოვში მიდის – აი, ასეთი ტიტრი ედო იმ სიუჟეტს, კადრებს, რომლებიც ივანიშვილის და მისი უწმინდესობის შეხვედრას ასახავდა. ანუ, ნახეთ, ბიძინა ივანიშვილი ხომ არის და არის პუტინის ბოლო იმედი და პროექტი საქართველოში და ახლა ილია მეორე მიდის მოსკოვში, რუსების სულიერ პუტინთან, პატრიარქ კირილთან შესახვედრადო!

რა არის ეს, წვრილმანი შურისძიების მცდელობა პატრიარქთან მიმართებით თუ უფრო უარესი? ალბათ ერთიც და მეორეც. უარესი კი ის არის, რომ „იმედის“ ეს უგვანი მინიშნება, შეიძლება სიგნალი აღმოჩნდეს ჯოჯოხეთიდან ამორწყეული თეა თუთბერიძისნაირი ჩლიქოსნებისთვის და ახალი, გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოს პატრიარქის წინააღმდეგ. დიახ, გადამწყვეტი, რადგანაც მიშნაცებისთვის ცხადია, რომ გადამწყვეტ მომენტებში, რომლებიც დიდი ალბათობით არაერთი იქნება ახლო მომავალში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ყოველთვის!

# თქვენი „მაღალის“ რომ გეშინიათ, სულ ყველაზე და ყველაფერზე მაღალი ვინ არის არ იცით?

მოკლედ და კრივის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ამ ერთი თვის წინათ, ივანიშვილის მარცხენა ჰუკით ნოკდაუნში ჩავარდნილი მიშნაცები, გასულ კვირას პატრიარქის აპერკოტმა ღრმა ნოკაუტში ჩააგდო. ხოლო ამ ფონზე, გასულ სამშაბათს ბიძინა ივანიშვილის და მისი პირმშვენიერი მეუღლის, ხაზგასმულად დიდი პატივით მიღება საპატრიარქოში, უკვე იმას ნიშნავს, რომ რინგზე განრთხმულ, ნოკაუტირებულ ნაცებთან ჩაჩოქილმა მატჩის რეფერიმ, ათვლა დაიწყო...

თუმცა კრივი იქით იყოს და არაფერი გვითქვამს იმ ანტურაჟზე, რომლის ფონზეც იქადაგა 100 ათასი წმინდანის ხსენების დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა:

ჯერ იყო და უწმინდესობამ მიშავიზიებს, მთელი კვირის მანძილზე გააპიარებინა 100 ათასი მოწამის დღე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა იმ დღეს მობილიზებული მრევლის თუ უბრალოდ ხალხის რაოდენობა. და შემდეგ, როდესაც ილია მეორის მოწოდებით, თბილისის ყველა ტაძრიდან დაძრულმა მრევლმა და სამღვდელოებამ თავი სამების ტაძარში და მის ეზოში მოიყარა, მაშინ გააკეთა ის განცხადება, რომელსაც მთელი საქართველო ელოდა და უფრო მეტიც, მოითხოვდა!

ანუ, პატრიარქის დასმულ ბეჭედს ველში მიხტომა საჭიროდ აღარ ჩათვალეს. რასაც ახლა გიგი უგულავა, კობა სუბელიანი და სხვა, დღეს გახლისტებული ყოფილი სტიქაროსნები მწარედ ნანობენ, როგორ გაგვაცურაო და აქედან არის ხელისუფალთა არაადეკვატური კომენტარები თუ საერთოდ უკომენტაროება.

ასე მაგალითად, ნუგზარ წიკლაურმა, ესაო (პატრიარქის ბეჭედი. **ავტ**.ძ, მხოლოდ მორალური შეფასებაა და ჩვენ კანონებით ვხელმძღვანელობთო. ანუ, მორალი, ზნეობა და უბრალოდ სინდისი არ გაგვაჩნიაო. ხოლო პრეზიდენტის პრესსპიკერმა, ამ ეტაპზე კომენტარს არ ვაკეთებთო. პარლამენტის უთავო თავმჯდომარემ კი, არც ამ ეტაპზე და არც იმ ეტაპზე, კომენტარს ვერ გავაკეთებო და ა.შ.

ახლა იმ მთავარზე (თუმცა არ მგონია, რომ უკვე თქმული, უმნიშვნელო იყოსძ, რამაც წინამდებარე წერილის შექმნა განაპირობა...

დიდი სურვილის მიუხედავად, მიშავიზიებმა ბიძინა ივანიშვილის საპატრიარქოში ვიზიტის სრული იგნორი ვერ გაბედეს და ასე თუ ისე გააშუქეს. ამ „ასე თუ ისეში“, რა თქმა უნდა პირველობა არავის დაუთმო „იმედმა“ და ისე გააშუქა, როგორც ავადსახსენებელი ე.წ. „მოდელირებული ქრონიკის“ საუკეთესო სტანდარ-

აგერ ერთად ვნახავთ თუ რა ბინძური ინსინუაციები დაიწყება იმ კონტექსტში, რომ რუსეთის პატრიარქი და ვლადიმერ პუტინი, ერთად ეცდებიან სსრკ-ის აღდგენას და რომ საქართველოს პატრიარქის ნებისმიერი კონტაქტი ერთმორწმუნე რუსულ ეკლესიასთან, სხვა არაფერია თუ არა ოკუპანტთან თანამშრომლობა და ბიძინა ივანიშვილთან ერთად ქვეყნის ღალატი და ა.შ.

აქედან გამომდინარე, არც ის არის გამორიცხული, რომ ქართული, უფრო სწორედ, მიშნაცური სპეცსამსახურები, პირდაპირ შეეცადონ ჩვენი მოხუცი პატრიარქის ფიზიკურ განეიტრალებას. ამიტომ ვაფრთხილებთ უსუსურობისგან უგუნურებაში ჩავარდნილ მიშნაცებს – კარგად გაუფრთხილდნენ ჩვენი ერის სულიერ მამას, რადგანაც ღმერთმა დაიფაროს და მართლა ბუნებრივადაც რომ რამე დაემართოს, საზოგადოებას (არ მიყვარს ეს სიტყვაძ, ქართველ ხალხს, ერს, ვერავინ დააჯერებს ამ ბუნებრიობასაც კი და მაშინ ვინძლო კადაფის ბედი სანატრელი გაუხდეთ.

„იმედს“ და სხვა მიშავიზიებს კი შევახსენებთ: მართალია „ჩვენი მაღალის“ ეშინიათ და ეს სრულიად გასაგებია, მაგრამ სულ ყველაზე მაღალი, გაგიკვირდებათ და მიშაზე მაღალიც, უფალი ჩვენი, მაცხოვარია და იმისი არ გეშინიათ?..

**დავით მხეიძე**

## ჟამი ძეგლთა მსხვრევისა

# „ეკუცია მოდის, ეკუცია!“

(პირველი გვერდიდან)

თბილისში „ველოსიპედით“ ჩანაცვლებულ დავით აღმაშენებელს ქუთაისში აფეთქებული მემორიალი და სადგურზე გადატანილი „დავით აღმაშენებელი“ მოჰყვა.

გასაგებია, რომ პრეზიდენტს დავით აღმაშენებელი არ უყვარს („კონკურენტად“ მიაჩნიაძ, მაგრამ „აჯანყებულ გურულს“ რას ერჩოდა? თავადაც ხომ „რევოლუციით“ და „აჯანყებით“ მოვიდა?

ეს ძალიან საჭირბოროტო და მრავლისმომცველი თემაა. ჩვენ ვეცადეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი კულტურის სამინისტროდან მიგველო.

სამწუხაროდ, მინისტრის მოადგილე დავით ცხადაძე ადგილზე არ იმყოფებოდა. ეგ კი არა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მთელს სამინისტროში არ აღმოჩნდა არც ერთი ჩინოვნიკი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტურ პასუხს გაგვცემდა. ბუნებრივია, რომ დღეს ვერ შევძლებთ ამ საკითხზე საფუძვლიან მასალის გაკეთებას, ამიტომ მხოლოდ ძეგლის ავტორის ბატონი გოგი ოჩიაურის კომენტარს შემოგთავაზებთ:





– ძეგლი ჩემი სადიპლომო ნამუშევარია. თავის დროზე მას ანტისაბჭოთა, არასწორი იდეოლოგიის მატარებელი უწოდეს და ამის გამო მოსკოვშიც ვიყავი დაბარებული. დაშლილი ძეგლი შემდეგ ოსტატმა აღადგინა.

ნამუშევარს აჯანყება ერქვა. როცა მკითხეს, თუ რატომ ვუწოდე ეს სახელი, პასუხი არ მქონდა და ვერაფერი ვუთხარი. ესკიზს არ მიმტკიცებდნენ, ამ დროს ბ-ნმა სამსონ ნადარეიშვილმა მითხრა, 905 წელი ვუწოდოთო, მეც დავთანხმდი.

ქანდაკება ჩემს თაობაში ძალიან პოპულარული იყო. აკადემიაში, როგორც საუკეთესო სადიპლომო ნამუშევარი ისე იყო დადგმული, მხედრიონის დროს დაანგრიეს.

ძეგლის აღება ჩემთვის არ შეუთანხმებიათ, პირიქით, არც ვიცოდი, ამას თუ აპირებდნენ. როგორც ვიცი, ამის მიზეზად ქალაქის დაგეგმარებას ასახელებენ და რა მიზეზი მაქვს, რომ შევედავო? სიმართლე გითხრათ, ამ ამბავს გულგრილად შევხვდი, რადგან მიჩვეული ვარ „დაჩეხილი საქართველოს“, „რექვიემის“ და სხვათა უკითხავად გადატანას. იმუნიტეტი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან მაქვს გამომუშავებული. მე თავადაც ვარ დაინტერესებული ამ საკითხის გარკვევით. მადლობელი ვიქნები თუ ვინმე გამცემს პასუხს.

რა მაგის პასუხია და, ამბობენ, რომ თელავში ჩასულ ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, ცერად შეუხედავს ერეკლე მეორის ძეგლისთვის და უკითხავს, „ეს ვინ არისო“...

რა ვიცი, ვიცი? არ ვიცი!

**გულნაზ გახარია,**
**გია გაბრიჭიძე**

## ჭაბუა ამირეჯიბი – 90

**ჩემო ჭაბუა, ძმაო და მეგობარო,**

**ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო შენს ზეიმს ვერ ვესწრები, ისე კი გულით და სულით მუდამ შენს გვერდით ვიყავი, ახლაც ასეა.**

**მეოცე საუკუნე იმითაც აღსანიშნავია, რომ დაიბადა და ასპარეზზე გამოვიდა დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი თავისი გმირით დათა თუთაშხიათი.**

**შენი სახელი და შენი უკვდავი გმირი საუკუნეებს გაუძლებს, ქართველთა მრავალი თაობის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება დიდი ჭაბუასა და მის მიერ შექმნილი დათა თუთაშხიას სახელები.**

შენი
**ედუარდ შევარდნაძე**

P. S. **მომიკითხე შენი ღირსეული მეუღლე და მეგობარი ქალბატონი თამრიკო.**

თბილისი. 16.11.2011 წელი.

---

**ბატონო ჭაბუა,**

**თქვენი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ერთი ადამიანის მიერ განვლილმა წლებმა და ნააზრევმა მთელი საზოგადოება. თქვენ ზნეობრივი გმირის სახე შექმენით მაშინ, როდესაც ბოლშევიზმი ყველაფერს აკეთებდა ჩვენი სულების დასაკნინებლად. ამ გმირმა უკვე თაობები აღზარდა და გზაც გააკვლევინა ჩვენს ურთულეს სამყაროში.**

**მეტადრე იგი გვჭირდება დღეს, როდესაც ქვეყანას დაეუფლნენ ადამიანები, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის საშენი მასალანი ვართ და ვისაც ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის გაწეულ სიკეთეშიც კი ანგარებისა და ბოროტი ზრახვის ამოკითხვა შეუძლია. ღვთის მადლით და თქვენი და თქვენისთანების ნააზრევის შემწეობით ჩვენ ყველანი მათაც დავძლევთ და ერთად აღვისრულებთ ქართულ ოცნებას.**

**სულით და გულით გილოცავთ იუბილეს! დაე, კიდევ მრავალ წელს გვყავდეთ, კიდევ მრავალ წელს მოგვყვებოდეს თქვენი ფხიზელი ზნეობრივი თვალი!**

*უღრმესი პატივისცემით*
**ბიძინა ივანიშვილი**

---

# სულის სიმტკიცე



**ჩემო მხნეო ჭაბუა!**

**შენმა განვლილმა საოცარმა გზამ ტაძრამდე მიგვიყვანა. ეს შენ შესძელი. ვაშა და დიდება შენს ჭირთათმენას.**

**შენი ავთანდილისეული სულის სიმტკიცის გამო, შენი ქვეყნისთვის თავდადების გამო, შენი გენიალური შემოქმედების გამო ქართველმა ხალხმა უზომოდ შეგიყვარა. შენ ქართველ ხალხს შეუქმენი ქართველი კაცის ღირსეული ცხოვრების კოდექსი, შენ ქართულ საუკუნოვან დიდებულ მწერლობას შესძინე ზოგადსაკაცობრიო შედევრები, რომლითაც თაობები იამაყებენ.**

**შენი ცხოვრება ჰგავს მყარად მდგარ მუხას, რომელმაც გაუძლო ქარიშხლებს, მეხის დაცემას, მაგრამ მის ძლიერ ტოტებს ამან ვერაფერი დააკლო, მის ჩრდილქვეშ პაპანაქება სიცხეში ადამიანი დიდ შვებას იგრძნობს. შენი ცხოვრება ერს სილაღესა და მხნეობას ჰმატებს. იცოცხლე, მრავალჟამიერ, შენს სათნო, ერთგულ მეუღლესთან, ქალბატონ თამართან ერთად.**

**ძმაო ჭაბუა, გეხვევი და მხარზე გკოცნი 90 წლის მარად ჭაბუკ იუბილარს.**

*ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით*
**მერაბ ბერძენიშვილი**
2011 წელი, 18 ნოემბერი.

---

**ჭეშმარიტ მამულიშვილს, აღიარებულ კლასიკოს მწერალს, მართლმადიდებელს, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის ფონდის წევრს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მთელი ოჯახის სახელით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.**

თქვენი
**ირაკლი ანდრიაძე**

**მაპატიე ჯანმრთელობის გამო ვერ მოვედი წმინდა სამების ტაძარში გამართულ იუბილეზე.**

# გარემოვაჭრეების მორიგი აქცია

**გუშინ პარლამენტთან გარემოვაჭრეებმა მორიგი აქცია გამართეს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლაშა ჩხარტიშვილის ინფორმაციით , ბოლო რამდენიმე დღეა გარემოვაჭრეების დარბევა მიმდინარეობს. აქციის მონაწილეები გარემოვაჭრეების წინააღმდეგ ძალადობის შეწყვეტას და გარევაჭრობის ცივილიზებული ფორმით დაკანონებას ითხოვენ.**

„ჩვენი მოთხოვნაა, გარემოვაჭრეების დევნა, ცემა შეწყდეს და გარევაჭრობა დაკანონდეს, რაც შესაძლებელია და რასაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქში აქვს ადგილი. თუმცა საქართველოში ხელისუფლებას საკუთარი კორუფციული ინტერესების გამო, არ აინტერესებს, რამდენი ადამიანი დაკარგავს შემოსვლის ერთადერთ წყაროს“, – აღნიშნა ჩხარტიშვილმა აქციაზე.

მისივე განმარტებით გარემოვაჭრეების ცემისა და დარბევის ფაქტები ბოლო ორი დღის განმავლობაში დიდუბის, ვაგზლისა და „დინამოს„ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიების ბაზრობებზე დაფიქსირდა.

**ინტერპრესნიუსი**

ევროპარლამენტი

## ხელისუფლებას დევნილების უფლებათა დაცვისა და მედიის თავისუფლების ხელშეწყობისკენ მოუწოდებს

**ეს მოწოდება ევროპარლამენტის რეზოლუციაში დაფიქსირდა.**

**ევროპარლამენტის წევრები ასევე მოუწოდებენ ხელისუფლებას, შექმნას სრული და ეფექტური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, მათ შორის სექსუალურ ორიენტაციასა და სქესობრივ იდენტიფიცირებაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ.**

ევროპარლამენტი ხელისუფლებას მოუწოდებს **„მხარი დაუჭიროს სასამართლო რეფორმას, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტს, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ და უზრუნველყოფილ იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობის სრული განვითარება, მათ შორის, გადადგას ნაბიჯები, რათა გარანტირებული იყოს პოლიტიკური, ადამიანის უფლებები და საკუთრების უზურპაციის შემთხვევების სამართლიანი კონტროლი“.**

ერთ-ერთი რეკომენდაცია მედიის თავისუფლებასაც ეხება და ევროპარლამენტარები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ხელი შეუწყოს მედიის თავისუფლებას და მედიაპლურალიზმს.

## რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შეწყვეტას მოითხოვს

**ევროპარლამენტმა საქართველოსთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო, რომელშიც რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შეწყვეტისკენ მოუწოდებს . ამგვარი პოზიცია დაფიქსირდა დოკუმენტში, რომელიც კშიშტოფ ლისეკის მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე მიიღეს.**

ევროპარლამენტის წევრები მოუწოდებენ ევროკავშირს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად აღიაროს და აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან, რათა მთლიანად შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და დაუშვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

**„ევროკავშირმა ასევე უნდა მოუწოდოს რუსეთს, შეცვალოს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გამოყოფის აღიარება და დაასრულოს საქართველოს ამ ტერიტორიების ოკუპაცია. წევრები გამოხატავენ შეშფოთებას, გასული წლის შემდეგ საქართველოში ტერორისტული შეტევების გამო და მოუწოდებენ საქართველოსა და რუსეთს, შეწყვიტონ დაბომბვებისა და ტერორიზმის მხარდაჭერის შესახებ რიტორიკა, რათა შექმნან ამ საკითხებზე გამოძიებაში ნდობის კლიმატი“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

აღნიშნული რეკომენდაციების მიღებას მხარი დაუჭირა 527-მა დეპუტატმა, 23 წინააღმდეგი იყო, ხოლო 34-მა თავი შეიკავა.

## ხელისუფლებამ კანონდარღვევები უნდა გამოიძიოს

**საქართველოს ხელისუფლებამ პოლიციის მიერ ადვოკატების ცემის ფაქტები და პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესები უნდა გამოიძიოს . ამის შესახებ ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია ნათქვამი.**

ადვოკატებზე თავდასხმების თემა რეზოლუციის იმ ნაწილში შევიდა, რომელიც საქართველოში სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს ეხება.

**„ევროპარლამენტის წევრები შეშფოთებას გამოხატავენ ადვოკატებზე პოლიციის შეტევისა და სასტიკი ცემის შემთხვევების გამო და მოუწოდებენ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ და ეფექტიანად გამოიძიოს ეს ფაქტები — დაუსჯელობა, პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესები და დამნაშავეები პასუხისმგებლობაში მისცეს“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი ასევე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უფრო ფართოდ შევიდეს კონსტრუქციულ პოლიტიკურ დიალოგში ოპოზიციურ ძალებთან და წინ წასწიოს დემოკრატიული გარემოს განვითარება სიტყვის თავისუფლებისთვის.

**„საქართველოს ხელისუფლებას ასევე ვთხოვთ, გააუმჯობესოს ფიზიკური პირობები ციხეებში და საპატიმროებში“,** — ნათქვამია დოკუმენტში.



ხელოვნება

# მალე თბილისიც განებივრდება...

## მილიარდერი პოლიტიკოსი საქართველოსთვის გუგენჰაიმის სტილის მუზეუმის შექმნას გეგმავს

**როდესაც ქართველმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ხუთიოდე წლის წინათ პირველად შეაბიჯა საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების მოყვარულთა სნობურ სამყაროში, მას შინაურები ისევე უცერემონიოდ დასცინოდნენ, როგორც გასულ ოქტომბერში, როდესაც ის ქართულ პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდა. დღეს უკვე აღარავის ეცინება.**

55 წლის მაგნატის თბილისის ბიზნეს-ცენტრის შესასვლელში სტუმრებს ბრიტანელი კონცეპტუალისტი მხატვრის დემიენ ჰერსტის კაშკაშა პეპელა ეგებება, ხოლო ივანიშვილის საწერი მაგიდის უკან ცენტრალურ კედელზე ბუნდოვნად მოჩანს მეოცე საუკუნის დასაწყისის ავსტრიელი ფერმწერის ეგონ შილის ბნელი და პირქუში „Einzelne Hauser“ („მარტოხელა ვილები“ძ.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის (და გავლენიან მაგნატებს შორის ყველაზე უკანასკნელის, ვისაც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობა გაურთულდაძ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ამბიციებმა საქართველოს მედიაში სენსაცია და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ინტერესი გამოიწვია. სახელოვნებო სამყაროში ხმაურის გამომწვევის მისეული უნარი ნაკლებადაა გამოკვლეული, მაგრამ მათი აზრით, ვინც მის პოლიტიკურ ტრაექტორიას ადევნებს თვალს, ივანიშვილის სახელოვნებო მიდრეკილებანი ყურადღებას იმსახურებს. ორივე შემთხვევაში, მთავარი მომენტი, როგორც ჩანს, მაინც შეუპოვრობაა.

2006 წელს, როდესაც ივანიშვილმა პაბლო პიკასოს ნახატი Dora Maar au Chat (დორა მაარი კატასთან, 1941ძ 95 მილიონ დოლარად იყიდა, ხელოვნებათმცოდნეების უმრავლესობამ, მისი ეს ნაბიჯი მასხრად აიგდო, მიიჩნია რა, რომ შენაძენი რუსი მილიარდერის მორიგი კაპრიზი იყო, რომელიც ზედმეტ თანხას მხოლოდ პრესტიჟისთვის იხდიდა, ნახატის კი არაფერი გაეგებოდა. ერთი წლის შემდეგ შოტლანდიელი მხატვრის პიტერ დოიგის ნახატი „თეთრი კანოე“ მან 11 მილიონ სამასი ათას დოლარად შეიძინა, რაც ყველაზე დიდ თანხად ჩაითვალა, რომელიც კი ოდესმე ცოცხალი ევროპელი მხატვრისთვის გადაუხდიათ. ამ ამბავმა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებზე ბაზრის ფასები ცამდე ასწია.

ივანიშვილისათვის კი, რომელმაც 5,5-მილიარდიანი ქონება რუსეთში საბანკო ბიზნესსა და რკინის მრეწველობაში დააგროვა, ხელოვნების ნიმუშების ასეთი ხმაურიანი შეძენა, კარგად გათვლილი ბიზნესსტრატეგიის ნაწილი იყო, კერძოდ, მას საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, მსოფლიო კლასის ხელოვნების მუზეუმის გახსნა სურს, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევს ნიუ-იორკ სითის სოლომონ რ. გუგენჰაიმისა და თანამედროვე ხელოვნების სხვა ცნობილ ცენტრებს.

**„ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც დავფიქრდი, თუ რისი გაკეთება შემეძლო ჩემი ქვეყნისათვის, ტურიზმისათვის, საქართველოს აღორძინებისათვის“,** — თქვა ივანიშვილმა Eurasianet.org-ისათვის მიცემულ ინტერვიუში. დაახლოებით „ასი, ორასი, სამასი მილიონი“ დოლარი გადადებული მაქვს სამუზეუმო კოლექციისათვის, დასძენს იგი.

იმპრესიონისტთა ნამუშევრები (მისი მეუღლის, ეკას საყვარელი მიმდინარეობაძ, რომელთა ყიდვის შესაძლებლობაც მას გააჩნდა, „ევროპელი ტურისტებისათვის არ იქნებოდა საინტერესო“, — ამბობს იგი, მაშინ, როდესაც უფრო ნაკლებ თანხად შეძენილ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს შეუძლია საქართველო სხვა ქვეყნებისაგან განასხვავოს და გამოარჩიოს.



მაგრამ ამ მიზნის თაოზაზე საუბარი შესაძლოა უფრო იოლი იყოს, ვიდრე მისი განხორციელება. გარდა იმისა, რომ ივანიშვილს ჩამორთმეული მოქალაქეობის დაბრუნებისთვის უწევს ბრძოლა, მას გამკლავება უწევს ფულის გათეთრების ბრალდებით საქმის აღძვრის მიზნით ცოტა ხნის წინ მთავრობის მიერ მისი კუთვნილი „ქართუ ბანკიდან“ ორი მილიონი დოლარისა და ორი მილიონი ევროს კონფისკაციასაც.

**მუზეუმისთვის უკვე ნაყიდია მიწის ნაკვეთი თბილისში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გვერდით. ივანიშვილმა უარი თქვა, ესაუბრა მშენებლობის ღირებულებაზე (არქიტექტორი ჯერ არ არის შერჩეული), თუმცა აღნიშნა, რომ მისი გათვლებით თავად მუზეუმის შენობა ამ პროექტის „ყველაზე იაფი“ ნაწილია.**

მშენებლობის დაწყება 2013 წლისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნა, ამჟამად ყურადღების ცენტრში თავად კოლექციის შექმნაა. **„კოლექციის შექმნა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მუზეუმის აშენება,“** — თქვა მან. **„მუზეუმის აშენება ალბათ საკმაოდ ადვილი იქნება“.**

დღეისთვის დოიგის ნახატი (მუქი მწვანე და წითელი ფერებით შესრულებული ხასხასა და ოცნებით აღსავსე ლანდშაფტი, რომელიც კონტრასტს ქმნის თეთრი კანოეს ლანდთანძ, მხოლოდ ერთი მაგალითია ივანიშვილის თანამედროვე ხელოვნების მზარდი კოლექციიდან. აქ მთელი კალეიდოსკოპია ამერიკელი ჯეფ კუნსის, ბრიტანელი მოქანდაკის ანიშ კაპურის ოვალური ოქროსფერი სარკისებრი დისკისა და ამერიკელი პოპ მხატვრის როი ლიხტენშტეინის სკამებისა და ტახტების კაშკაშა ნახატებისა.

კოლექციის უცხოური ნაწილი მის თბილისის რეზიდენციაში ინახება, რომელიც ამავდროულად ბიზნეს ცენტრიც გახლავთ. ეს არის იაპონელი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს მიერ ბორცვზე აშენებული ლითონისა და მინის სწორი ხაზებისა და რადიკალური მრუდების თავბრუდამხვევი ნაზავი. ქართული ხელოვნების ნაწარმოებები მის მთავარ რეზიდენციაში, სოფელ ჭორვილაში ინახება.

**„რაც შეეხება თანამედროვე ხელოვნებას, ძნელია განსაზღვრო, სად იწყება და სად მთავრდება ის. მისი გაგება ხანდახან მეც მიჭირს,“** — თქვა მან და საკუთარ თავს კარგად ინფორმირებული მოყვარული უწოდა. რომელია მისი საყვარელი მხატვარი, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია: **„შეიძლება დემიენ ჰერსტი, შესაძლოა ჯეფ კუნსი, ბევრნი არიან“.**

ეს გატაცება ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ ჩუმად მოსაუბრე ღარიბი გლეხის შვილისათვის. ივანიშვილი ცნობილია იმითაც, რომ ჩრდილში ყოფნა უყვარს, იქნება ეს რუსეთში საბანკო სექტორში მისი საქმიანობის პერიოდი თუ საქართველოში მისი საქველმოქმედო მოღვაწეობა.

მაგრამ ივანიშვილი დიდი ხანია, ხელოვნებას პატრონობს. მისი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქართუ ჯგუფი“ აფინანსებდა თბილისის საკონცერტო დარბაზისა და ოპერის რეკონსტრუქციას. ასევე ხმაურის გარეშე აფინანსებდა ის თეატრის რეჟისორებს, პოეტებს და ქართული ხელოვნების სხვა წარმომადგენლებს, მას შემდეგ რაც ათი წლის წინათ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა.

მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, იმ ენერგიას, რომელსაც იგი ერთ დროს მხატვრების, გალერეებისა და აუქციონების რთული სამყაროს დასაპყრობად იყენებდა, ამჯერად მთლიანად ქართული პოლიტიკის არანაკლებ რთულ სამყაროს უთმობს.

**„რასაკვირველია, მუზეუმი და ეს თემა უკანა პლანზე გადავიდა. ამჟამად ამისი დრო აღარ მაქვს“,** — მხრები აიჩეჩა ივანიშვილმა. **„თუმცა“ რაკი დავიწყე, თავს აღარ დავანებებ. აუცილებლად დავამთავრებ მუზეუმს“.**

**მოლი კორსო**

Eurasiant.org

foreignpress.ge

№ 219. შაბათი, 19 ნოემბერი, 2011 წელი.

*„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიოს ისტორია. მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“ — ჰეგელი*

*ყველამ ვიცით, რომ ქართველები საკმაოდ უცნაური ხალხი ვართ.*

*როგორც ნახეთ, ეს თვით ჰეგელმაც იცოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ქსენოფობია არ დაბრალებოდა, „ქართველის“ ნაცვლად „კავკასია“ დაწერა.*

*ვართ, რადგანაც არანაირად არ „ვჯდებით“ არც ერთი ეპოქის ე.წ. „საერთაშორისო სტანდარტებში“.*

*არ „ვჯდებით“ იმიტომ, რომ „დადგენილი ნორმებია“, ჩვენი ხასიათისთვის, ჩვენი ჩვეულებებისთვის და, ბოლოსდაბოლოს ჩვენი ქარიზმისთვის ძალიან „დაბალი დონეა“.*

*ჰო, ქარიზმაზე გამახსენდა, დამერწმუნეთ, რომ ძალიან „დაბალი დონეა“ იმ ორატორთა გამოსვლები, რომლებზეც წაგვიკითხავს და გვსმენია.*

*გაგვიგია და ბავშვობაში ზოგიერთი ჩვენი მეგობრისთვის, მისი „ორატორული ნიჭის“ გამო, „ციცერონაც“ დაგვირქმევია.*

*რომელი დუჩე, რის ტროცკი, რა რობერსპიერი შეედრება იმ „მარგალიტებს“, რაც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა, ყვარელში ილიას ტბის და დასასვენებელი კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის ტექსტიდან ამოკრიბა.*

*გთავაზობთ ამ ამონარიდების სრულ ვერსიას, ხოლო ის დასკვნები, რაც წესით აქამდე უნდა გაკეთებულიყო, იქნებ ახლა მაინც გაკეთდეს.*

*გია გაბრიჭიძე.*

# მიშას მარგალიტები

### ეს მთებიც რომ გაენათებინათ არ შეიძლება...

— მოგესალმებით ყველას, ეს მთებიც რო გაენათებინათ არ შეიძლება, მაგრამ მართლა საოცრებაა რასაც აქ უყურებთ, იმიტომ რომ თქვენ აქ ყვარლელები ხართ დიდი ნაწილი. აქ, იცით, რომ 4 თვის წინ იყო რაღაც მეხუთედი დაგუბებული, ნახევრად დაჭაობებული ძველი წყალსაცავი და მე როცა დავფრინავ ზემოდან, არა იმიტომ დავფრინავ, მარტო გზებს მინდა ავერიდო, ზემოდან ძალიან კარგად ჩანს ასევე საქართველო. საქართველო ყველაზე კარგად ჩანს როცა ერთი-ერთი ვართ ჩვენ თქვენთან, თქვენ თვალებში ვიყურები, თქვენ სათქმელს ვუსმენ. მაგ დროს ჩანს ყველაზე კარგად და მეორე ყველაზე კარგი ხედია როცა დაფრინავ ვერტმფრენიდან. და როცა ვერტმფრენიდან დაფრინავ, ერთს ხედავ როგორი პატარაა ჩვენი ქვეყანა. სადაც გაიხედავ მარჯვიდან მარცხნივ, არის მისი ბუნებრივი საზღვრები კავკასიის სხვადასხვა ქედები და ამიტომ რახან პატარაა, ის არის განსაკუთრებულად მოსავლელი და განსაკუთრებული ვალია, რომ თითეული მტკაველი ამ ქვეყნის იყოს კარგად გაკეთებული. ამავე დროს, როცა იყურები ვერტმფრენიდან ხედავ რამდენად ლამაზია და თვალწარმტაცი ჩვენი ქვეყანა და რამდენად უფრო ბევრია გასაკეთებელი. ხედავ რო მიწის ნაწილი კიდევ დაუხნელია და დაუმუშავებელია და ეს ცოტა მიწა, რომელიც გვაქვს ბოლომდე დამუშავებელი იყოს, იმიტომ რომ მიწის დამუშავება ნიშნავს უფროს მეტ შემოსავალს ჩვენ ოჯახში, უფრო მეტ პერსპექტივას ჩვენი ოჯახებისთვის.

### ნურავინ ნუ თქვას, რომ საქართველომ წააგო რაიმე ომი...

იცით, დღეს მე დამაგვიანდა აქ ჩამოსვლა, იმიტომ რომ ევროკავშირის საგარეო კომისარი, საგარეო საქმეთა მინისტრი, მთავარი წარმომადგენელი იყო ჩამოსული, რომელიც გვესაუბრებოდა იმაზე, რო უახლოეს პერიოდში საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ უვიზო მიმოსვლა ევროპაში. ჩვენ გვექნება თავისუფალი შესვლა ევროპის ბაზრებზე. ამიტომ ცალი ხელით ჩვენ ვიბრძვით საგარეო ფრონტებზე, იმიტომ რომ ეს არი ბრძოლა ასევე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ეს არი იმ დიდი ბრძოლის გაგრძელება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და ნურავინ ნუ თქვას, რომ საქართველომ წააგო რაიმე ომი. საქართველო მანამდე იქნება წელში გამართული, მანამდე არ იქნება წაგებული, მანამდე იბრძოლებს გამარჯვებისთვის სანამ ეს ჟინი გვაქ და სანამ ეს ხელები არ ჩამოგვიშვია, სანამ არ დავნებებულვართ, სანამ არ მოგვიწერია არაფერზე ხელი და სანამ გვჯერა რო ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ გამთლიანდება. იმიტო რო ჩვენ ვიმყოფებით აქ ილიას სამშობლოში და თუკი ყველაზე თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწე არსებობს საქართველოში, იმიტომ რომ ბევრი გამოდის ტელევიზორში ეგრეთ წოდებული ექსპერტი, პოლიტოლოგი, ზოგიერთი ძალიან ჭკვიანიც და დამსახურებულიც, მაგრამ დღემდე მთავარი ჩემთვის პოლიტიკური მეცნიერება მოდის ილია ჭავჭავაძესგან.

### არც ერთ ეპოქაში თბილისში იმდენი არ გაკეთებულა და აშენებულა, როგორც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში...

ყოველთვის ამბობდნენ, ადრე აი რაღაცეები დავიწყეთ, შეღებვა 2005 წელს თბილისის ცენტრში. ამათ მარტო თბილისის ცენტრი აინტერესებთ და იმის იქით, თავის ცხვირის იქით არ იყურებიან. შემდეგ გავაგრძელეთ, რა თქმა უნდა, თბილისის ცენტრი, იმიტომ რომ არც ერთ ეპოქაში არასდროს თბილისში არც ერთი მეფის, არც ერთი მთავრობის, არც ერთი დამპყრობლის თუ დამოუკიდებელი საქართველოს პატარა პერიოდების დროს იმდენი არ გაკეთებულა და აშენებულა, როგორც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და შემდეგ ორ წელიწადში აშენდება იმაზე ორჯერ მეტი, ვიდრე ბოლო 5 წლის განმავლობაში. მაგრამ საქართველო არ არის ხოლოდ თბილისი. შემდექ ჩვენ დავკავდით ბათუმის აღმშენებლობით. ბათუმი მართლაც არის არა მხოლოდ საქართველოს სიამაყე, არსად შავი ზღვისპირეთის რეგიონში, არსად აღმოსავლეთ ევროპიდან დამთავრებული სტამბულით და იქ, უფრო იქით, არ არსებობს ამხელა მასშტაბის მშენებლობა, ასეთი სილამაზის არქიტექტურა, ასეთი სწრაფი განვითარება, როცა ორასიათასიან ქალაქში იქნება უფრო მეტი ცათამბჯენი, ვიდრე უფრო განვითარებული სამყაროს მილიონიან ქალაქებში. უფრო მეტი აღდგენა, უფრო მეტი ეკონომიკური აქტიურობა და მაშინაც ხშირად ამბობდნენ, რო, აი ამბობდნენ, აი ქუთაისელები ამბობდნენ მაგალითად, გადაგვიფრენს, გადმოგვიფრენს, ხელსაც კი არ დაგვიქნევს. ამ სააკაშვილს საერთოდ არ აინტერესებს სიტყვაზე ქუთაისი. მაგრამ აღმოჩნდა, რო ბათუმის განვითარების კვალდაკვალ ქუთაისი ხთება საპარლამენტო ქალაქი და ქუთაისში შენდება ყველაზე ლამაზი შენობები, ყველაზე დახვეწილი ინფრასტრუქტურა, ყველაზე მეტი განვითარება.



### ველოსიპედით მინდა ხოლმე აქეთ გადაისეირნება და აქ გადმოსვლა და წრეების დარტყმა...

როცა ეს გავაკეთეთ მერე ბუნებრივად კახელებს, ჩვენ კახელების გვესმოდა კითხვა, კი მაგრამ კახეთმა რა დააშავა. იმიტო რო ყველაფერი ხთება, ანაკლიაში, დასავლეთში, ფოთში, ბათუმში, ქუთაისში და აქეთ, აქეთ როდის გადმოხვალთ, ქედის აქეთ. და ეს ტბა, თუმცა მანამდე, რა თქმა უნდა, სიღნაღი გაკეთდა, თუმცა მანამდე, რა თქმა უნდა, ყვარლის ცენტრი გაკეთდა, მაგრამ ეს ტბა არი დასაწყისი ახალი ეტაპის ჩემთვის პირადად კახეთისთვის. იმიტომ რო ეს ტბა და ეს ინფრასტრუქტურა რომელიც იქნება, ეს ის კი არ არის მარტო რო იქით გვერძე ჩემი საკარმიდამოა და აი, იმიტომ ველოსიპედით მინდა ხოლმე აქეთ გადაისეირნება და აქ გადმოსვლა და წრეების დარტყმა. ეს არის ის, რომ მომავალი წელი იქნება კახეთის წელიწადი საქართველოში ე.ი. მომავალ წელს იქნება უფრო მეტი აღშენებლობა კახეთში, ვიდრე ყოფილა, ქართველოს ნებისმიერ რეგიონში ბოლო შვიდ-რვა წლის განმავლობაში.

### გენეტიკური კოდი ქართული სახელმწიფოებრიობის არის შექმნილი ალაზნის ველზე...

იმიტო, რო გენეტიკური კოდი ქართული სახელმწიფოებრიობის არის შექმნილი ალაზნის ველზე, გენეტიკური კოდი ქართველობის არი ჩვენ ანბანთან ერთად შექმნილი, ჩვენ ვენახთან ერთად შექმნილი. აქ ალაზნის ველზე კახეთში ამ მტრებისგან შედარებით დაცული მთების მეორე მხარეს, ამ ნოყიერ განსაკუთრებულ მიწაზე, ამ განსაკუთრებული ნიჭიერების, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის, განსაკუთრებული პატრიოტიზმის მქონე ადამიანების. ამიტომ ჩვენ ყველანი დანაჩენი საქართველო, როგორც კახეთის, ყოველთვის მიდიოდა საქართველოს დასახმარებლად, კახეთი ქმნიდა საქართველოს, კახეთი იყო მისი ბურჯი დანაჩენი საქართველო ახლა უნდა მოვიდეს კახეთის ფეხზე დასაყენებლად, კახეთის ასაღორძინებლად, კახეთის, თითეული კახელისთვის მომავალის მისაცემად, ეს არის ჩვენი თვითეულის ყველაზე წმინდათა წმინდა ვალი.

### სუყველაფერი ცისფერი იყოს, ცისფერი საღებავი გვაქვს შემოტანილი, სულყველაფერს შევღებავთ...

წყალი იყო დიდი პრობლემა კახეთში. დასალევი წყალი და ესეთი წყალიც, იმიტო რო ზაფხულში რო დაცხება და როცა ყველა მდინარე დამშრალია, არაფერი არ აჯობებს აქ გადახტომას და კარგად გაჭყუმპალაებას, მეც შემოგიერთდებით როგორც კი ეს პერიოდი დაგვიდგება. ჯერ არ ღირს, ეს ტბაც გაივსება ბოლომდე, ეხლა ნახევრად არის სავსე და სულმთლიანად ცისფერი იქნება. რამაზ ნიკოლაიშვილი დადის დიდი ბადით და აკეთებს ყველაფერს, რომ სუყველაფერი ცისფერი იყოს, ცისფერი საღებავი გვაქვს შემოტანილი, სულყველაფერს შევღებავთ, ყველაფერი კარგად იქნება.

### დაველაპარაკო ძმურად ეხლა რო ტელევიზიით დახარბება გეყოთ...

მინდა ასევე გითხრათ, რომ ძაან ბევრს ვმუშაობთ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე, ვმუშაობთ კახეთში საცურაო აუზებზე, იცით რომ აქ გაკეთდა სპორტული ინფრასტრუქტურა. ის რაც თქვენ ყვარელში ნახეთ ჯეოსელის, ეგრეთ წოდებული ჯეოსელის კლასი ქვია, მაგრამ მე ვნახე ტელევიზორში ჯეოსელის რეკლამა, და ვიფიქრე, რომ რას გვახარბებენ ტელევიზიით, მოიყვანეთ ეგ კომპანია, დაველაპარაკო ძმურად ეხლა რო ტელევიზიით დახარბება გეყოთ, გინდათ კარგი საქმის გაკეთება — და ეს არ არის ბიზნესის ტერორიზირება, უბრალოდ ესე მოდით, გაგვიკეთეთ ესეთი კლასი. სად უნდა გაკეთებული იყო ესეთი კლასი, თუ არა ილიას სამშობლოში პირველი, თუმცა ესე უნდა მიყვეს მას ყველა კახეთი, ძირითად სკოლებში ზუსტად ესეთი კლასები.

### ყოველი მეორე ქართველი იყო ღარიბი ვარდების რევოლუციამდე, ახლა ოფიციალურად ციფრები დაყვანილია ეს 17%-ზე...

იმიტო რო ბავში, რომელიც ცხოვრობს მათ შორის ძალიან გაჭირვებულ ოჯახში, სადაც ყოველ თეთრს აქვს მნიშვნელობა, სადაც დღიდან დღემდე ითვლიან კაპიკებს, რომ როგორ გამოკვებონ ბავშები, გადადონ ფული შავდღეზე ვიღაცის მკურნალობა, რამე სხვა რო დაჭირდეს. იმ ბავშვის და ხშირად ოჯახები არიან უკვე ქრონიკულ სიღარიბეში. მე მინახია, ჩვენთან სიღარიბე 52% იყო, ყოველი მეორე ქართველი იყო ღარიბი ვარდების რევოლუციამდე, ახლა ოფიციალურად ციფრები დაყვანილია ეს 17%-ზე. ესე იგი, დაახლოებით ყოველი მეხუთე, ცოტა უფრო ნაკლები ქართველია ჯერ კიდევ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. მაგრამ მე ბევრი ასეთი ღარიბი ოჯახი მინახავს და ბევრი მათგანი უბრალოდ შეგუებულია სამწუხაროდ ამ მდგომარეობას, ბევრ მათგანს აქვს ხელი ჩამოშვებული და მე ვიფიქრე, როგორ უნდა გამოვცვალოთ ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ სოციალური დახმარება უნდა გაუზარდოთ, პენსიები უნდა გაუზარდოთ, რაც შეგვიძლია, რა თქმა უნდა. და ვიფიქრე რომ ბავში, რომელსაც აქ კომპიუტერი, რომელსაც პირველივე კლასში ასწავლის ამერიკელი, ინგლისელი, ავსტრალიელი მასწავლებელი ახალი მეთოდებით და მათ მასწავლებელთან ერთად ამას აკეთებს, რომლის მასწავლებელი იღებს მეტ ხელფასს, თუ მასწავლებელი ჩააბარებს გამოცდას ათას ლარს და მეტიც შეიძლება ქონდეს. ის ბავში სუ სხვანაირად შევა სახლში, ის ბავში ამ ღარიბ ოჯახშიც რო დაბრუნდება თავისი ამ ნეთბუქით, პატარა კომპიუტერით, ითამაშებს ამ თამაშებს, ეტყვის თავის ოჯახის წევრებს, რა თქმა უნდა, ქართულად ელაპარაკება ცოტა წაიტრახერხებს და ეტყვის ჰაუ დუ იუ დუ და ასე შემდეგ, ის საერთოდ სხვა ფსიქოლოგიის შემტანი იქნება თავის ოჯახში, ყველა მხრიდან უნდა ურტყათ სიღარიბეს, გარდა იმისა, რო პერსპექტივა უნდა მივცეთ ჩვენს ბავშებს.

### ბებიაჩემიც არი ოთხმოც წელს გადაცილებული, მე ძალიან დიდი სიმპატია მაქ ამ თაობის...

ჩვენ სიღარიბისთვის არ გვემეტება არც ეს ბავში, არც მისი ოთხმოცი წლის დიდი ბებია და დიდი ბაბუა. იმიტო რო ბებიაჩემიც არი ოთხმოც წელს გადაცილებული, მე ძალიან დიდი სიმპატია მაქ ამ თაობის, რომელმაც აქამდე მოგვიტანა. ძაან დიდი სიმპატია მაქ იმ თაობების, რომელიც ყველაზე მეტად დაიკარგა, იმიტო რო ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ხალხს ეგონა, რო რაღაცას მიაღწიეს, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში რო ჩამოიშალა ყველაფერი და ყველაფერი რო ჩამოინგრა, მართლა ხალხს გაუჩნდა განცდა, რო თელი, თელი თაობა დაიკარგა, იმიტო რო თაობა კი არ გაქრა არსად, ბევრი მათგანი თუმცა დაიღუპა, დაავადდა და ასე შემდეგ, უბრალოდ შესაძლებლობები დაეკარგა ამ ხალხს, რომელსაც ისინი იმსახურებდნენ.

### არ დამიწყონ ეხლა ის რო, სააკაშვილის ტრაბახმა ტვინი წაჭამა...

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ რო, არ დამიწყონ ეხლა ის რო, სააკაშვილის ტრაბახმა ტვინი წაჭამა, იმიტო რო ამას ამბობენ, როგორც წესი ის ხალხი, როცა არაფრის აზრზე არ არის ისედაც ცხოვრებაში. ნამდვილად ესეთი შატო როგორიც შუამთაში გააკეთა გიამ მე არ მინახია არც ერთ იმ ქვეყანაში. რატო იცით, იმიტომ რომ სიყვარულით და გულით არის გაკეთებული. პროექტი მისია, ყველა ავეჯის ნაწილი საკუთარი ხელით აქ გაკეთებული, ყველა კერძი არის მისი რეცეპტით დამზადებული და აი, არაფერი არ არის ისე სხვათა შორის შეთითხნილი. ესა და როცა ვკითხე რა იყო შემდეგი გეგმები, ეს სასტუმრო, ეს დამთავრებულია, ეხლა აკეთებს გრემის გვერძე, რომელიც ჩვენ აღვადგინეთ და იქ კიდე მიდის აღდგენითი სამუშაოები ახალ სასტუმრო კომპლექსს. აქ აშენებს ისეთ ლამაზ შატოს ტბის თავზე, რომ მარტო ამ ტბის სანახავად და ამ შატოს სანახავად ჩამოვა ძალიან ბევრი უცხოელი. ე.ი. გაჩერდება ჩვენ ოჯახებში. ე.ი. გაივლის გზებზე, კაფეებში დახარჯავს ფულს. ე.ი. იყიდის სუვენირებს ჩვენი ხელით დამზადებულს. ე.ი. დახარჯავს ფულს ყველგან, აქ გარშემო, ე.ი. გაამდიდრებს ჩვენ მოსახლეობას. ამიტომ რომ გია მუშაობს არა მხოლოთ საკუთარი თავისთვის, არა მგონია რომ ეს ძაან დიდი მოგების მქონე ბიზნესი იყოს. აი, ასეთი ახალი ბიზნესმენები ძნიან მომავალ საქართველოში, რომელიც აღსაღნიშნია, არც ემბარგოსი, არც დაშანტაჟების ვიღაცის, არც უიმედო სიტუაციის, რომელმაც იცის რო მათი სამშობლო მათი ხელით არი ასაშენებელი, მათი მონდომებით და სიყვარულით არი გასაკეთებელი და ერთი აგურ აგურ აგურ დადებული რაღაცა შეიძლება ერთად გავაკეთოთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, მე მინდა გიასთანა ხალხი იყოს ძალიან ბევრი. მაგრამ ჯერჯერობით სულ რამდენიმე კაცი გვყავს საქართველოში ასეთი.

### მე ხო ვიცი რა არი კაპრიზიანი, შარიანი პრეზიდენტის მოთმენა...

დღეს მე ვფიქრობ, რომ საკმარისად გაგყინეთ აქ, მაგრამ კარგი კონცერტი ჩატარდა, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ყველაფერი ააშენა, იმიტო რო მე ხო ვიცი რა არი კაპრიზიანი, შარიანი პრეზიდენტის მოთმენა, რომელიც იძახის, რომ ეხლა მომეწონა ეს ადგილი და ხუთ თვეში უნდა იყოს, ოთხ თვეში უნდა იყოს, სამ თვეში უნდა იყოს და ყველამ იცის, რომ ასეთი რაღაც ხუთ თვეში და ოთხ თვეში და სამ თვეში ვერ მორჩება, მაგრამ ისიც ყველამ იცის, რომ მეც და ყველა ჩვენგანიც მოუთმენლები ვართ, ამდენი წელი იმდენად არაფერი არ ხდებოდა, რო ჯობდა, ჯობია ყველამ ღამე იმუშაოს, დღე იმუშაოს, ხელები დაიკაპიწოს, შეუძლებელი შეძლოს და მაინც ააშენოს და ამასობაში, მე მგონი მსოფლიოში ყველაზე ჩქარა ვისწავლეთ ყველაფრის შენება. აი, ეს არის მოუთმენლობას და სულსწრაფობასაც აქვს თავის დადებითი შედეგები. მთელ მსოფლიოს ამაშიც ვაქლევთ მაგალითებს. რა თქმა უნდა, ეხლა, ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ რაღაცა ნათურა საკმარისად არ არის გამაგრებული, სადღაც რაღაცა ხვრელია რამე ან სხვა გაჩნდა, მაგრამ მოდი რა იმ ხვრელებს მოვუვლით მერე, მთავარია, რომ გავაჩინოთ ეს ადგილი. ეხლა, არაფერი ხვრელები არ მინახავს, ძალიან ხარისხიანად არის გაკეთებული, მოვიარე რამდენჯერმე აქაურობა. არა მომავალში თუ გაჩნდა, ისე მაინც გაფრთხილებთ. მინდა რამაზ ნიკოლაიშვილს ვუთხრა მადლობა, მინდა მადლობა ვუთხრა თქვენ გუბერნატორს, აქაურ გამგებელს ვუთხრა მადლობა, და განსაკუთრებით ყველა იმ ინჟინერს, პრარაბს, მუშას, რომელიც დღე და ღამე თვალებანთებული მუშაობდა იმიტო რო აშენებდა მაგარ რაღაცას, აკეთებდა ქართულ საქმეს და იცოდა რო წვლილი შეჰქონდა საქართველოს აღმშენებლობაში. არა მაქ აქ ორდენები ჩამოტანილი, თუმცა ყველა მთგანი იმსახურებს ამ სიტყვას, ბრწყინვალეებას. დიდი მადლობა“.

რა თქმა უნდა შემეძლო, რომ ამ ყველა „მარგალიტზე“ მცირე კომენტარები გამეკეთებინა, მაგრამ მე მგონი არ ღირს.

კომენტარების გაკეთება, თქვენთვის მომინდვია.

დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს თიკა თვალაძეს, ნინო მიქიაშვილს და გოჩა ჯელიას, მასალის მომზადების დროს გაწეული დახმარებისთვის.

**მასალა აღებულია ინტერნეტიდან**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**
16:06 17.11.2011

ეკონომიკური კრიზისი

# ოფშორული არისტოკრატია: გამდიდრების რბოლის ლიდერები

**მართალია, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 2008 წელს დაიწყო და რომლის ახალი ტალღა, მრავალი ექსპერტის აზრით, მთელი ძალით თავს გაისად დაგვატყდება, ფაქტობრივად, ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო და კერძო ეკონომიკურ თუ საფინანსო სტრუქტურა საგრძნობლად დააზარალა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთმა მასზე ხელის მოთბობაც კი შეძლო, თან კაი გვარიანადაც. მაგალითად, სოლიდური გამოცემის, ჟურნალ „ფორბსის“ ცნობით, ამ მხრივ ამერიკელ მილიარდერთა ოცეულში დაზარალებულია... ერთადერთი კაცი, ცნობილი ინვესტორი უორენ ბაფეტი, რომელმაც ბოლო 12 თვეში 6 მილიარდი დოლარი „დაკარგა“ (აქედან ნახევარი მან ქველმოქმედებაზე გაიღო!), თუმცა კი 39 მილიარდის პატრონია და სიის მეორე ნომრად რჩება.**

ყველა დანარჩენი კი კიდევ უფრო მეტად გამდიდრდა! მაგალითად, ამერიკაში ყველაზე მდიდარი კაცის ბილ გეიტსის პირადი კაპიტალი კიდევ 5 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 60 მილიარდს მიაღწია. თუმცა გამდიდრების რბოლის ლიდერი ჯორჯ სოროსი გახდა. ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე მას 14 მილიარდი დოლარი ჰქონდა, ახლა კი – 22 მილიარდის პატრონია და ამის წყალობით პირველად მოხვდა ამერიკის უმდიდრესი ხალხის ათეულში.

**გლობალიზაციის ინსტიტუტის დირექტორის მიხეილ დელიაგინის აზრით, მსოფლიოში შექმნილ გლობალურ მონოპოლიებს „ჭია გაუჩნდათ“. ეს მოთხოვნილების უკმარისობით გამოიხატება, რომლის კომპენსირებას სახელმწიფოები ეკონომიკაში თავიანთი ფულის მიწოდებით ცდილობენ, ძალიან ძვირი უჯდებათ, რადგან ასეთი პოლიტიკის შედეგებია საბიუჯეტო დეფიციტები, ვალების ზრდა, სპეკულაციური საფინანსო საპნის ბუშტები და სხვ. სწორედ ამის გამოა, რომ მსოფლიო ზანზარებს. ესქპერტების აზრით, ყოველივე ეს ლიბერალიზმის იდეოლოგიის ბატონობის გამო ხდება, რომლის თანახმად ფულის საშოვნელად, გასამდიდრებლად ნებისმიერი ხერხის გამოყენებაა დასაშვები.**

გასათვალისწინებელია, რომ გადაუხდელი ვალების პრობლემას გადაწყვეტა არა აქვს. გამოსავალი ისაა, რომ საჭიროა გლობალური მონოპოლიების რამენაირად ალაგმვა, მათი მოთოკვა, ანდა, სულაც, ნგრევა და, ამდენად, მთელი მსოფლიოს განვითარების გეზის წინასწარ გაუთვლელად შეცვლა, რაც უდიდესი საფრთხის შემცველია. ამიტომაც მსოფლიო ლიდერები არსებული ვითარების რაღაცნაირად შენარჩუნებას ცდილობენ, რაც, ფაქტობრივად, აგონიის გახანგრძლივებას ნიშნავს. უკვე რამდენიმე წელია მსოფლიო დეპრესიის ზღვარზეა, რაც დაგროვილი დისპროპორციების ბრალია. **ესაა, უწინარესად, გლობალურ მონოპოლიათა შეუზღუდავი ძალაუფლება, რეალურ გადახდისუნარიანობას მოკლებული ვალები, სუსტების გამანადგურებელი კონკურენცია — ყოველივე ამის გამო კომერციული მოთხოვნა თავისთავად მცირდება. ამიტომ ეკონომიკათა რაღაცნაირად მაინც გადასარჩენად სახელმწიფოები იძულებულნი არიან მოთხოვნა თავისი ფულით ჩაანაცვლონ, რაშიც აუარება სახსრები იხარჯება.** ეს კი სახელმწიფო ბიუჯეტების პარაზიტი სპეკულანტებისთვის, რომლებიც ფულის საშოვნელად სხვადასხვა სახეობების „საფინანსო საპნის ბუშტებს იყენებენ“, ნამდვილი სამოთხეა. ამ ვითარებაში, მსხვილი მოთამაშეები უზარმაზარ ფულს აკეთებენ როგორც მთავრობების მიერ ეკონომიკაში „ფინანსური ინიექციების“ გაკეთების დროს, ისე მათი „მოქმედების გავლის შემდეგ“, ანუ ბაზრების ჩამოქცევისას.

ცივილიზებული სპეკულაციების მეორე მდგენელია ე. წ. **ინსაიდერული ინფორმაცია. ესაა ვაჭრობაში ინფორმაციის გამოყენება, რომელზეც მოთამაშეს ხელი მიუწვდება სამსახურებრივი ან პირადული კავშირების წყალობით.** თუ ბირჟაზე მოთამაშე კორპორაციის საიდუმლო ინფორმაციას გამოიყენებს, ეს დანაშაულია, მაგრამ თუ იგი არა სხვის ინფორმაციას, არამედ საკუთარ ინტუიციას გამოიყენებს, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანებთან სიახლოვეს უკავშირდება, ამაში კრიმინალური არაფერია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანებთან ახლობლობა დიდად სარფიანი რამ ყოფილა.** ეს კი, ექსპერტთა საყოველთაო აზრით, ჯორჯ სოროსის სიტუაციაა: იგი ამერიკის მმართველ ელიტასაა დაახლოებული, მის ქმედებებში კრიმინალი არ არის, მაგრამ, არსებითად, იგივე ინსაიდერია, რაც ნებისმიერი საბირჟო სპეკულანტის ოცნებაა.

**ახლანდელ მსოფლიოში გლობალისტთა მმართველი კლასი ყალიბდება, რომლისთვისაც, არსებითად, სულ ერთია, თუ რა მოუვა ან ევროპას, ანდა, სულაც, ამერიკას. მას გლობალური კორპორაციების მომსახურეები წარმოშობენ — ესენია, ძირითადად, მსხვილი აქციონერები, ტოპმენეჯერები, პოლიტიკოსები, სპეცსამსახურების, ანალიტიკური სტრუქტურებისა და მედიის ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები.** ისინი არავის წინაშე ვალდებული არ არიან და კარგად დაცულ რეზიდენციებში, უკიდურეს შემთხვევაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრობენ და უმაღლესი ხარისხის კომფორტით სარგებლობენ. მათთვის ეროვნებასა და ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა უმეტესობას ჯიბეში ამერიკული ან ინგლისური პასპორტი უდევს. ეს ის ხალხია, ვინც გლობალურ სპეკულაციურ ოპერაციებს თავის ნებაზე ახორციელებს, რადგან სახელმწიფო კონტროლისგან და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლების წყალობით მათ შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვთ. **ამ ხალხს „ოფშორული არისტოკრატია“ უწოდეს და, უნდა ითქვას, რომ სავსებით სამართლიანადაც, რადგან მათი ცხოვრების კრედოა რაც შეიძლება მეტი აქტივების „დათრევა“, მათი ფეშენებელურ ქვეყნებში გატანა და შემდეგ იქ ლეგალიზება. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ახლა უკვე არა ოფშორული, არამედ გლობალური არისტოკრატია ყალიბდება, რომელიც საკუთარ თავს საერთოდ არც ერთ ქვეყანას არ უკავშირებს.**

ლიბერალიზმი, არსებითად, გლობალური კაპიტალის იდეოლოგია და პრაქტიკაა, თუმცა „ფორბსის“ სიები აისბერგის მხოლოდ წყლის ზედა ნაწილია. **გლობალური მმართველი კლასი უფრო რთულად და ნაკლებად გამჭვირვალედაა ორგანიზებული. რაც შეეხება კონკრეტიკას, ჯერჯერობით მსოფლიოში ორი ძირითადი საფინანსო გუნდია, რომლებშიც მრავალი, ფორმალურად დამოუკიდებელი სტრუქტურაა ორგანიზებული. ესენი არიან როტშილდებისა და როკფელერების კლანები.**



თვალის ერთი გადავლებით ეს მტკიცება სინამდვილეს მაინცდამაინც არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან 96 წელს მიღწეულ დევიდ როკფელერს „მხოლოდ“ 2,5 მილიარდი დოლარი აქვს, ახალგაზრდა ბარონ როტშილდს კი ჯერჯერობით მილიარდი დოლარიც არ უშოვნია. ამიტომაც, „ფორბსი“ მას „სათვალავშიც“ არ აგდებს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ზედმეტი აფიშირება არც სჭირდებათ. **ისინი გაცილებით ეფექტიანნი არიან, როცა არ წარმოჩინდებიან.** გაცილებით უფრო კომფორტულია რეალური, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის უხილავი კაპიტალი, რომელიც ნომინალურ მეპატრონეებს შორის ვითომდა „დაქსაქსულია“. ეს, ზოგადად, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. მოკლედ, როტშილდები და როკფელერები ძალიან გონივრულად მოქმედებენ, მაგრამ **შორს არაა ის დროს, როცა ფინანსურ ოლიმპოზე მესამე ჯგუფი შეიჭრება და ეს გლობალური ჩინური კაპიტალი გაჩნდება.** თავდაპირველად, ეს სახელმწიფო კორპორაციები იქნებიან, შემდგომ – კონკრეტული მილიარდერები. ფორმალურად ისინი კერძო პირები იქნებიან, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს ხალხი ჩინური სახელმწიფოებრიობის ელემენტია.

ამრიგად, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე ფინანსური კატაკლიზმების დროს, მდიდრები კვლავაც მდიდრდებიან, ღარიბები კი კვლავ განაგრძობენ გაღატაკებას, თუმცა მათ გარდა ეს სხვას არავის აღარდებს. მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა გამდიდრების ახალი ტალღა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საშუალო კლასის გაღარიბების შედეგია. ეს გლობალური პროცესია, რომელიც ჯერ აფრიკიდან და სამხრეთ ამერიკიდან XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და ახლა განვითარებული ქვეყნების ბურჟუაზიამდე მიაღწია. არადა, ეს სწორედ ის კლასია, რომელიც საბაზრო ეკონომიკისა და ტრადიციული დასავლური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს! ამდენად, ეს ფასეულობები დროის დინებას მიაქვს და რა შეცვლის მათ, ძნელი სათქმელია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილმა ხელმძღვანელმა სტროს-კანმა ოფიციალურად განაცხადა ლიბერალური კურსის დამღუპველობის, საბაზრო ეკონომიკის განვითაების პროცესთან მისი შეუთავსებლობის თაობაზე. ხოლო იმის გამო, რომ სწორედ ამ ორგანიზაციის მოვალეობაა ამ დოგმების დანერგვა, ეს გახდა მისი თავიდან მოშორების ჭეშმარიტი მიზეზი.

სტროს-კანისა და სხვათა **პროტესტების მთავარი მამოძრავებელი ძალაა გლობალური ფინანსური წესრიგის აშკარა უსამართლობა.** ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი სტატიაში „პლუტოკრატების პანიკა“ წერს: **„სამყაროს მბრძანებლებმა... სიმდიდრე მიიღეს... ჩახლართული ფინანსური სქემების წყალობით, რომლებმაც ხალხისთვის სიკეთის მოუტანლად... იგი კრიზისში მოაქციეს და ეს მძიმე ტვირთად დააწვა ათობით მილიონებს კისერზე. მაგრამ მათ ამის საზღაური არ გადაუხდიათ. მათი ინსტიტუტები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე გადარჩნენ. ისინი კვლავაც... სახელმწიფო გარანტიების ხარჯზე არსებობენ. ისინი იმ თამაშში მონაწილეობენ, სადაც ზედა ფენები მუდამ იგებენ, ქვედები კი მუდამ აგებენ“.**

საფრანგეთში, კანში, 4-5 ნოემბერს დიდი ოცეულის შეხვედრაზეც პროტესტებისა და კრიზისის ნამდვილი მიზეზები არავის დაუსახელებია, განსჯის საგანი, უმეტესად, „ფინანსური კოსმეტიკის“ საკითხები იყო.

**ოთარ ტურაბელიძე**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან

### მალე „სასწრაფოდან“ 500 ექიმს გაათავისუფლებენ?!

თბილისის სასწრაფო დახმარების ექიმების ერთ ნაწილს სამსახურიდან გათავისუფლება ემუქრება. არასამთავრობო ორგანიზაცია „არას“ წარმომადგენლის ლევან ჩიტაძის განცხადებით, ეს მაშინ მოხდება, როცა 113-ის ექიმების გადამზადების მეორე ეტაპი დასრულდება და მათ სპეციალური ტესტები ჩაუტარდებათ. 113-ის ექიმებს გადამზადებისთვის 800 ლარს ახდევინებენ.

**„რეზონანსი“.**

### 1000 ფრანგული ელექტრომობილი - საერთაშორისო პიარი თუ ჩვეულებრივი ტყუილი?

„რენოს“ მარკის ელექტრომობილის შეძენა სახელმწიფო ბიუჯეტს 30 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა. ხელისუფლების ეს ნაბიჯი ემსახურება პიარს, რათა ეკონომიკურად გლამურული ქვეყნის გარდა, საქართველო ეკოლოგიურად გლამურულ ქვეყნადაც წარმოაჩინონ.

**„ვერსია“.**

### ზურაბ სოტკილავა და ნიკა ცისკარიძე დიდი თეატრიდან გაუშვეს?!

„კომსომოლსკაია პრავდა“ ირწმუნება, რომ ზურაბ სოტკილავა და ნიკა ცისკარიძე დიდი თეატრიდან დათხოვნილები არიან. ამის მიზეზად კი ხელოვანთა მხრიდან თეატრის რეკონსტრუქციის კრიტიკას ასახელებენ. ცნობილია, რომ ზურაბ სოტკილავამ თეატრის მიმართ კრიტიკა მხოლოდ მხატვრულ მხარესთან დაკავშირებით გამოთქვა, ნიკა ცისკარიძემ კი დიდი თეატრის რეკონსტრუქციას დიდი სისულელე უწოდა.

**„ახალი თაობა“.**

ინფორმაცია

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ სოფელ ჭოგნარის მოსახლეობის საკუთრების უფლების შელახვაზე საუბრობს

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე დაგეგმილია საავტომობილო მაგისტრალის გაყვანა თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის გავლით.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ჭოგნარის მოსახლეობა დაუკავშირდა და აცნობა, რომ ავტომაგისტრალის მშენებლობის გამო მათი საკუთრების უფლება ილახება.**

**— მოსახლეობამ ჩვენს ორგანიზაციას დახმარება სთხოვა. 14 ნოემბერს ორგანიზაციის იურისტები დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ და შეხვდნენ ჭოგნარის მოსახლეობას. ადგილობრივების ცნობით, დაახლოებით ერთი წლის წინათ მათ დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქუთაისის ოფისიდან და აცნობეს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, სახელმწიფოს ესაჭიროებოდა მოსახლეობის მიერ დაკავებული სახნავ–სათესი მიწები. ამასთან ურჩიეს, ექსპროპრიაციის პროცესის დაწყებამდე მოეგვარებინათ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები, — აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“.**

**ორგანიზაციის ინფორმაციით, ჭოგნარელები გაგებით მოეკიდნენ საკითხს, მათთვის მისაღები აღმოჩნდა ის სავარაუდო საფასურიც, რასაც მიწების სანაცვლოდ სთავაზობდნენ. შესაბამისად, მოსახლეობამ დაიწყო მზადება, მიმართეს საჯარო რეესტრს, მოაწესრიგეს დოკუმენტები, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტი.**

ინტერპრესი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №182




**იმერეთი, საჩხერის ეპარქიის პატარა სოფელი არგვეთი, ძველ ნანგრევებზე აღდგენილი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, კოხტა სამრეკლო ... ძველისძველი, სადა, ხავსმოდებული სასაფლაო მიწაში ნახევრადჩაკარგული წარწერიანი ქვებით.**

ეკლესიისკენ მომავალ დაღმართთან ავტობუსი ჩერდება. თბილისიდან ჩამოსულან იმ წინამძღვართა შთამომავალნი, რომელნიც ორასი წლის მანძილზე წირავდნენ ღვთისშობლის სახელობის ამ ეკლესიაში... ვლადიმერ სპირიდონის ძე აბრამიშვილი – XIX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო პირი, რომელმაც საეკლესიო მოღვაწეობა დაიწყო გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევითა და ხელდასხმით, საჩხერის ოლქის მთავარხუცესი (ბლაღოჩინი), დეკანოზი, სოფ. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი და პედაგოგი გახლდათ. სწორედ მისი თაოსნობითა და ძალისხმევით დაარსდა სოფელ არგვეთის პირველი სამრევლო, ხოლო შემდეგ საერო სკოლაც კი, რაც იმ დროისთვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ვლადიმერის წინაპართა თხუთმეტი თაობა უწყვეტლივ სასულიერო პირები იყვნენ. მამამისი, სპირიდონ გრიგოლის ძე აბრამიშვილი, ასევე სოფ. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი... ავტობუსიდან ჯერ ბავშვები გადმოდიან, მერე უფროსები – წლებითა და მოგონებებით დამძიმებულნი. მოდიან, რათა ერთხელ კიდევ გაიხსენონ თავისი წინაპრები და შვილებსა თუ შვილიშვილებს იმ ფესვების სიძლიერე აგრძნობინონ, თექვსმეტი საუკუნის მანძილზე რომ იღწვოდნენ სასულიერო ასპარეზზე. მამა ავთანდილი (ცაბაძე, სოფელი არგვეთის ღვთიშობლის ეკლესიის წინამძღვარი) და მამა ზოსიმე (ყაველაშვილი, სოფელ სავანის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი) პარაკლისს ატარებენ, ისმის მგალობელთა გალობა... მოზარდებსა და ახალგაზრდებს არასოდეს დაავიწყდებათ, პატარებს შეიძლება არც დაამახსოვრდეთ, მაგრამ გული მაინც შემოინახავს... სანთლის ერთი ბეწო ალი, ცისკენ აღვლენილი ლოცვასავით მხურვალე და მობარბაცე, სამუდამოდ აანთებს იმას, რასაც გულის მეხსიერება ჰქვია და ერთმანეთთან დააკავშირებს წარსულსა და მომავალს.

თორმეტი წლის კახა მუხლებზე იჩოქებს, გულმოდგინედ ცდილობს პატარების ხელით მიწაში აცა-ბაცად ჩარჭობილი სანთლები გაასწოროს და არც კი იცის, რა მნიშვნელოვან რიტუალს აღასრულებს... საფლავის ქვას ხელს გადაუსვამს პატარა ნინო ფეტვიაშვილი... აი აქ, ამ წუთში ცოცხლდება ის უხილავი ჯაჭვი, რასაც თაობათა კავშირი ჰქვია, რაც დროსა და ზღვარს სცილდება. ეს ის წუთებია, როცა გიორგის, კახას, ვახტანგის, ელენეს, ნინიას, ნიკოლოზისა და როსტომ-თომას პატარა ხელებით დანთებული სანთლების შუქი დროისა და სივრცის ზღვარს გადალახავს და თაობებს გაწვდება.

საჩხერის კულტურის სახლის დიდ ფოიეში აბრამიშვილების შთამომავალთა ფოტოგამოფენაა, რომელიც ისეთი გემოვნებითა და სიყვარულითაა გაკეთებული, რომ აღტაცებასა და ცრემლებს ვერავინ მალავს. აქვეა ვლადიმერ აბრამიშვილის შვილთაშვილის, რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატების გამოფენაც. არგვეთის ეკლესიის მოძღვარის, მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული სასულიერო პირის, ვლადიმერ აბრამიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო იწყება: მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული სცენოგრაფიის ფონზე ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საჩხერის კულტურული და სულიერი ცხოვრება... დღეს, როცა ამდენ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს ვხედავთ, ვერც კი წარმოგვიდგენია, ის დრო, როცა ამ მხარეში (საჩხერისა და შორაპნის მაზრაში) არც ერთი სკოლა არ არსებობდა, როცა იმდენად დიდი იყო რუსეთის პოლიტიკის ზეწოლა, რომ ენის დაკარგვის საშიშროების წინაშე ვიდექით. ეს იყო რეალური საფრთხე, რაც ქართველობას გადაგვარებით ემუქრებოდა. მაგრამ ღვთის მადლით არსებობდნენ ადამიანები, რომელნიც სიტყვით, საქმით, ცხოვრების წესით, მუხლჩაუხრელად, მიზანდასახულად იბრძოდნენ ქართული ენის გადასარჩენად. დღეს სწორედ იმისთვის შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ ერთ იმათგანს – ერთ-ერთ დაუღალავ მუშაკს, ვისი თაოსნობითაც დაარსდა არამარტო სამრევლო, პირველი საერო სკოლა, ვისი წყალობითაც რეკს დღეს განათლების ზარი საჩხერეში, არგვეთში, სავანეში, ... პერევშიც კი...

ვლადიმერ აბრამიშვილის შვილთაშვილმა, ლია აბრამიშვილმა (საქართველოს ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის ეკონომიკის განყოფილების გამგე) ყველა დეტალი, ცნობა, მოვლენა თუ მოგონება ძირისძირობამდე გამოიკვლია და ჩვენამდე მოიტანა. ეს ლექსები და სიმღერები კი, ასეთი გულწრფელობით რომ იღვრებოდა სცენიდან, ლიას დედას, ქართველ პოეტ ქალს, მარი აბრამიშვილს ეკუთვნის.

წარსულის მოგონებები, სამადლობელი სიტყვები... მიხეილ გოგოტიშვილისა და ჟუჟუნა ბარბაქაძის (სოფ.არგვეთის ბიბლიოთეკის გამგე. იმ ბიბლიოთეკისა, რომელიც მამა ვლადიმერის თაოსნობითა და სახსრებით დაარსდა და დიდი როლი შეასრულა არამარტო არგვეთის, იმ მხარის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში) მოგონებები, მიხეილ, ქეთევან და მანანა აბრამიშვილის, რუსუდან ფეტვიაშვილის სამადლობელო სიტყვები, არგვეთელი ბიჭების ვაჟკაცური შემართება და ლექსით დანთებული ხანძარი, უეცრად აკვნესებული სიმღერა, სანთლის ალივით მოლიცლიცე და ლოცვასავით გულში ჩამწვდომი, სცენაზე გადმოტანილი სამრეკლოს პატარა ზარი, უცნაურ მოგონებებს რომ იხმობს და თავადაც წარუშლელ მოგონებად რჩება თითოეულის მეხსიერებაში...



სხედან ვლადიმერ და სპირიდონ აბრამიშვილები

ასე ხდება, როცა სიყვარულს პროფესიონალიზმი ემატება. ეს ხომ ასე იშვიათია დღეს... მადლობის გადახდის სურვილი არა მარტო მოძღვარის შთამომავლებს გაუჩნდათ. ჩვენ ვეცადეთ გაგვერკვია ამ მშვენიერი საღამოს შემოქმედნი: საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ ცერვცაძე, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხეიძე, მთავარი სპეციალისტი ზურაბ თურმანიძე, ლია ვეშაპიძე (ასე ოსტატურად და გულში ჩამწვდომად რომ მიყავდა მთელი საღამო), კულტურის ცენტრის დირექტორი ედემ აბრამიშვილი...

უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე მოზარდთა მშვენიერ დასს, რომელსაც არც ვაჟკაცური შემართება დაკლებია და არც არტისტიზმი, მგალობელთა ტრიოს – მათი წყალობით მთელი საღამოს მანძილზე, ეკლესიასა თუ სცენაზე ისმოდა ქართული საგალობლები და კიდევ ...საჩხერლებს, არგვეთელებს, ყველას, ვინც თავისი იქ ყოფნით არა მარტო პატივი მიაგო ღვაწლმოსილი სასულიერო პირების ხსოვნას, დაამტკიცა კიდეც, რომ წინაპართა ხსოვნა ფუჭი სიტყვები არაა, ესაა ცოცხალი შემოქმედი ძალა, რომელსაც თუ გამოვიხმობთ, ყოველთვის აწ მყოფობს, სიყვარულითა და იმედით ავსებს ჩვენს შთამომავლობას და ჭეშმარიტად აღადგენს იმ ხიდს, რასაც სულთა კავშირი ჰქვია.



**გურამ გომართელი**

# ლექსი თვითონ მწერს...

* * *

გათენდა, საამო რიჟრაჟია,
მთვარე კი ჯიუტად შემორჩა ცას,
ღრუბელი მართლაც რომ გიჟმაჟია,
ხან რას ემსგავსება, ხან რას.
ნეტავი როგორი დღე იქნება,
გამყვება ცისკრის ღვთიური მადლი
თუ უნდა მაწვალონ ფიქრებმა,
ნუთუ გამივიდა ყავლი?!
არა, უნდა ვემსგავსო იმ ძალას,
რაც თან სდევს თენების მადლს,
უფრო ძარღვიანად შევიგრძნო ქვეყანა,
სხვაგვარად ცხოვრება დაკარგავს აზრს!

## მე მჭირს ბათუმი

რა ვუყო თბილისს,
რა ვუყო თბილისს,
ჩემს ბავშვობას და
ყმაწვილურ ღიმილს,
უამრავ სიტკბოს, უამრავ ტკივილს,
დედას, დღესაც რომ სათუთად
მივლის.
თორემ ბათუმი, თორემ ბათუმი,
გულში ჩადგმული ძმობის მღვიმეა,
ენით ვერ თქმული, ნატვრა აღქმული,
სიზმარს რომ ჰგავს და სინამდვილეა.
ზღვა ცხოვრობს თავის რიგით
და წესით,
მისი სამყარო რთულზე-რთულია,
რა ვქნა, მე მხოლოდ
ხმელეთის მესმის,
სადაც უზღვავი სიყვარულია.
მოგონებების ტალღები მივლის,
ზღვა ვერ მერევა, ცრემლები
მახრჩობს,
თავის შეგრძნება — საწყისი ყოვლის,
აქ დამეწყო და არასდროს დავთმობ!

## თურმეობითი... სახუმარო

არ მიყვარს ქართულ ენაში,
თურმეობითი ფორმა,
ქვეყანა არივ-დარია,
მითქმა-მოთქმამ და ჭორმა!
თურმე წიწილა წაიღო,
მტრედმა და არა ქორმა,
თურმე სტალინი ცოცხალი
ნახა კრემლმა და გორმა!
თურმე ის კაცი არ არის,
ის კაცი არის, ქალი,
გალამ რომ „მერი“ დაწერა,
თურმე ყოფილა მთვრალი!

თურმე მათხოვარს ბევრი ფული აქვს,
თავს ისაწყლებს და ფლიდობს,
თურმე მაღალი დაბალი არის,
სხვის დასანახად დიდობს!

თურმე ხვალ აღარ იქნება
ძილის წამალი ძვირი,
რადგან თვით ღამე დღედ გადიქცევა,
ვიღას რად უნდა ძილი?!

თურმე კომეტა მალე წაგვლეკავს,
მზე გამოისხამს ვაშლებს,
თურმე კლოუნი ბურთს თუ
აკენწლავს,
უნდა ვუფრთხილდეთ... ბავშვებს!

... სხვა რაღა გითხრათ,
მეც ვარ ამ მხარის,
... მეც ცოტა წავიხუმრე,
თუმცა რაღა დროს ხუმრობა არის,
მეც მე არა ვარ — თურმე!
XXX
ვატყობ, ზოგიერთებს არ მოსწონთ,
ვერაზე რომ ვზივარ კაფეში,
ნეტავი უფალმა კიდევ დიდხანს
მამყოფოს ამ დღეში.

თქვენ კი, ბატონებო,
ჭკუის პატრონებო,
ნუ წამოეგებით ანკესზე,
ხელი აიფარეთ სახეზე
და ისე გაიარეთ „პრასპექტზე!“
მე კი რად ვირჩიე ეს კუთხე
თილისმად,
ეს იცის „კოიამ“ და
ეს იცის თბილისმა!

⊙ თანამედროვე ქართული ესსეი

# ვისაც მტრობა მოსწყურდეს...



ალუდას ახლახან ნანახი და განცდილი აწვალებს. მწველი კითხვა უშანთავს გულ-გვამს: თურმე აქამდე ბრმა იყავ, ღირსეული გეგონა თავი და უღირსად გიცხოვრია, რისიც გჯეროდა და პატივს სცემდი, მცდარი ყოფილა - *ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი* (დედა ყველასთვის წმიდათა-წმიდაა), *ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოს კუპრში მოელის ქშენანი* (ცხონება რომელიმე რჯულის საკუთრება არაა, პირადად ერთის გზაა და ფუჭია თავის დამშვიდება, თითქოს მხოლოდ ხევსურთა ხვედრი იყოს. უკვდავება ვერც ხევსურებს ექნებათ მოზომილი და ვერც ქისტებს. უკვდავებას თავისი კანონები აქვს, უკვდავება ვერავისი საკუთრება ვერ გახდება). ***ამის თქმით ვწარამარაობთ, ღვთისშვილთ უკეთეს იციან, სუყველა მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან?!*** ღვთისშვილთა ჭეშმარიტება განსხვავდება აქაური სიმართლისაგან. ალუდას არსებაში სინათლემ (კითხვამ) შეაღწია და ბნელი გაანათა. ქეთელაურისთვის ამიერიდან ვაჟკაცობას სხვა დატვირთვა აქვს, სხვა ფერი აძევს. ვაჟკაცობა ისაა, რაც შენში მე-ს გამოიხმობს და ღვთიშვილთა კანონებს გაზიარებს. ხევსურთა ახალუხლები გადაიქციან ტყემლადა... მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ, რა ხარ სიცრუის მთქმელადა – ვინ გაიგოს სადაა სიმართლე? ალუდას იმათი ფიცისა აღარ სჯერა, ამათთვის კი ალუდას ნათქვამი მტკნარი სიცრუეა და მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა აქვს – გამუქცევიხარ ქისტიშვილს, გადუქცევიხარ ქალადა. – თუმცა, მათშიაც დატრიალდა კითხვა: მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?! – და მოუთმენლად ელიან ჭეშმარიტების დასადგენად წასულ მინდიას.

– ქეთელაურს კი ხილვები არ აძლევენ მოსვენებას: დაუმარხავი, ყორნებისაგან დაჯიჯგნილი მუცალი იმ ქვეყნად ვერ წასულა. ეტყობა მხოლოდ ალუდას ძალისხმევა არ კმარა, ეტყობა ძნელია სისხლით შეკრული ჯაჭვის გაგლეჯა, ხევსურთა ადათ-წესი ზღუდესავით აღმართულა საიქიოსკენ მიმავალ გზაზე. მოკლული ალუდას საყვედურობს:– თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა, დაძეხით ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა – ხევსურთ შვილებიც ძღებიან, ვერ ატყობენ რა ცოდვა-ბრალში უდგათ ფეხი. ალუდას კაცის ხორცის წვნიანს უდგამენ წინ: ***– ჭამეო, რამამ მიძახა, ნუ ჰხდები გაშტერებული, კიდევ მიმირთვით ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებული.*** – ქვესკნელის ძალნი ხომ არ დაპატრონებიან ხევსურთა ადათ-წესებს და თვალებს უბამენ, რომ ნათელი არ იხილონ? *შობილი ხორცისაგან ხორცი არს...* სულიერ სფეროში ხომ მუდმივი ბრძოლაა ძველსა და ახალს შორის. ის, რაც კაცობრიობის განვითარების გარკვეული დროისთვის სიკეთე იყო, ახლა უკეთური ძალის იარაღად ქცეულა.

* * *

– თენდება, ხევსურნი მინდიას ელიან.

***– ვინ მოდის წითლის ცხენითა, გამაიარნა წყალია?*** – წითელი შუასკნელის, ამქვეყნიურის ფერია. მინდია (და სხვა არავინ), თავად ვაჟკაცი, ასე ადვილად რომ ვერ იტყვის ვაჟკაცის აუგს, სამართლიანობის აღსადგენად მიდის და ... მარჯვენას სჭრის მუცალს! წითელ ცხენზე ამხედრებული მინდია ვერ ჩასწვდება ჭეშმარიტებას, თუმცა, არ განსჯის მას და ალუდას განდევნის ჟამსაც მხოლოდ მას აუწყლიანდება თვალები. წითელი ქვესკნელის ძალას არ ემორჩილება, მაგრამ ვერც ზესკნელისა გაუგია. მათში სწორედ ალუდასნაირების სიმართლის შუქმა უნდა შეაღწიოს.

– მოხველ მშვიდობით! – მინდიას ხევსურნი შაუძახიან.

რა მაიტანე ამბავი? – შორითვე დაუძახიან.

მინდია ჩქარობს სიმართლის დამტკიცებას. გულადუღებული საყვედურობს ხევსურთ: - *ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა, მის ვაჟკაცურის რჯულითა!* ხელი ალუდას მიართვის: *წაიღ, მიაკარ ქავადა!* სამართლიანობა აღდგენილია. საცაა, ცოტა არ იყოს შერცხვენილნი და გაოცებულნი ხევსურნი ხელს ჩაიქნევენ და დაიშლებიან – სამართალმა პური ჭამა!

მაგრამ ალუდას გულში გრძნობები დუღს და გადმოდუღს:ვერ გიქნავ კარგად მინდიავ, საქმე მოგირთავ ავადა – ალუდა, ალბათ, ადათ-წესების გაბიაბრუებას ცდილობს უკვე სინანულშეპარულ ხევსურთა თვალწინ, თორემ ყველამ კარგად იცის, რომ მტრის მარჯვენა ვერც სათიბს მოთიბს და ვერც ფარად გამოდგება ბრძოლაში. თანაც, მხოლოდ მინდიას მიმართავს, დანარჩენებთან თითქოს ურთიერთობის ძაფი გაწყვეტოდეს, თითქოს ისინიც მისიანნი არ იყვნენ: ***რაად სწყრებიან ხევსურნი, რადა ტყვრებიან ჯავრითა?! მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა! წესი არ არის მტრის მოკვლა,თუ ხელ არ მასჭერ დანითა, ვაი ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!***

– მაშ, ხევსურებს ცოდვა-ბრალიანი სამართალი აქვთ? კაცის წვნიანი უდევთ და საღმრთო პური ჰგონიათ? სისხლს სვამენ და ზიარების ღვინო ჰგონიათ?სისხლშივე იწერენ ჯვარს და ქორწილი ჰგონიათ? სადაა სამართალი? აკი ერთადერთი იყო? შესაძლებელია ორი სიმართლე არსებობდეს? ალუდა და ხევსურნი უკვე სხვადასხვა ნაპირას დგანან, ერთმანეთს უნდოდ, გულისწყრომით შესცქერიან. მათ შორის ქისტის მოჭრილი მარჯვენაა, ნუთუ ამ მარჯვენამ უფსკრული უნდა დაბადოს?

* * *

***ჟამი მოვიდა საუფლო, ხალხი ხატობას დიოდა,*** – ხატობაა, გუდანის ჯვრის დღეობა. ხევისბერთან სამსხვერპლო საქონელი მოჰყავთ. ***მოქუჩდა ქალი და კაცი სახვეწრით, ცხვრით და ხარითა.*** სამსხვერპლო პირველად დაღვრილი უცოდველი სისხლის სიმბოლოა, რაც მერე ძე ღვთისას უცოდველი სისხლით იქნა გამოსყიდული გოლგოთაზე. ხატობის ჩვეული სურათი გარსმოჯარული ხალხით, სამსხვერპლოზე მოყვანილი ცხოველებითა და ხანჯალმომარჯვებული ხევისბერით. ამ ჩვეული სურათის ფონზე ალუდას უჩვეულო, ფერნაცვალი ხატი – ***ეს ვინღა მოდგა ნისლივით?*** გაოცება, კითხვა – ნუთუ ალუდაა? სახტად დარჩენილნი შესცქერიან მის გაუცხოებულ, არაამქვეყნიურ სახეს – ალუდა კი არ მოვიდა, ნისლივით მოდგა. ***ვის ამწყალობებ ალუდავ, ამა კურატით შავითა? ჰკითხავს ალუდას ხუცესი გადაწეულის მკლავითა ... კარგი ყმა უყვარს ბატონსა, წყალობა ემეტებისა... მითხარ სახელი, ვის სწირავ, იმასამც შაეწირება, ხანჯარს აიძრობს, დიდების სათქმელად დაეღირება*** – რიტუალის შესასრულებლად შემართული ხევისბერი და ალუდას გაუცხოებული, ნისლით მოცული ხატი – ***ეგ სამხვეწროა, ბერდიავ, ძოღან მოკლულის ქისტისა, მუცალს ეტყოდნენ სახელად, მაუნათლავის შვილისა. კარგადაც დამიწყალობნე, გამიმეტებავ მისთვინა.*** – ვერც უხუცესებმა გაუგეს მინდიას და ვერც ახალ-უხლებმა, იქნებ ხევისბერმა, ღმერთთან ახლოს მყოფმა, შეისმინოს გაუგონარი და აღასრულოს საღმრთო რიტუალი?იქნება ზღვარი გაქრეს? იქნება ამითი სხვებმაც დაინახონ, რომ საღვთო კანონი, რჯულის მიუხედავად, ყველასთვის ერთია, რომ სწორედ ესაა ღვთის ნება. *მიუგო იესო და ჰრქუა: შენ ხარ მოძღვარი ისრაელისა და ესე არა იცია?*



ვაჟა-ფშაველა – 150

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს ალუდას სათხოვარი. ჰაერშივე შეშდება ხევისბერის ღვთის სადიდებლად აღმართული ხელი. რა უთხრას, რა მოიმხროს? – ***გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა!*** – ვაითუ, ეშმაკს ხევისბერის ცთუნება განუზრხავს? – ***როგორ ვახვეწო უფალსა ძაღლი, ძაღლების ჯიშისა, მანამ სჯობს ცანი დამექცნენ... სადილი ვჭამო ქვიშისა! ფერი ედება ბერდიას, ფერი სხვაგვარი შიშისა,*** – შეძრწუნებული, შეშინებული ბერდია – როგორ დაიცვას ქრისტეს სჯული ეშმაკისაგან?

სინამდვილეში კი ეს სწორედ იმ უცნაურისა და შეუცნობელის შიშია, სინათლისა და სიყვარულისკენ რომ გიხმობს და იმაზე მეტს გთხოვს,ვიდრე ღვთისავე სახელით ღვთის სჯულის დაცვაა. სამყარო შავ-თეთრია. მტყუან-მართალთა ეზოში სხვა მზე ანათებს და ამიტომ, რაც არ უნდა დაამუნათოს ქეთელაურმა: - *ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა, ხევსური თქვენის წყლისაო, მითამ ერთნი ვართ ბერდიავ, მცხოვრებნი ერთის მთისაო,* - ბერდიასთვის იგი ეშმაკეულია, ბნელი ძალით შეპყრობილია. ალუდა ცდილობს, ის ჭეშმარიტება დაანახოს, რაც ამ წუთში მასში აღმოცენებულა, მასში ანათებს. ცდილობს, თავისი სიმართლე აჩვენოს და იმათ ენაზე გამოთქვას, ვისთვისაც ძველი, ცხოვრებისეული კანონები უცვლელი ჭეშმარიტებაა – ***მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ...***

და იტყოდნენ მრავალნი მათგანნი, ეშმაკეულ არს და ჰცბის: რასა ისმენთ მისა?

* * *

მწიგნობართა და ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელიც ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა და დაადგინეს იგი შორის... და ჰრქუეს: მოსე ამცნო სჯულსა შინა ჩუენსა ესევითარი ქუის დაკრებაი და შენ უკუე რასა იტყვი? – ფარისეველთა და მწიგნობართა იესოსთან მიჰყავთ ქალი, რომელი ერსა ზედა დაეპყრა მრუშებას,– რათა განსაჯოს მან. მათი ცხოვრების წესის მიხედვით ქალი უნდა ჩაიქოლოს, რას იტყვის იესო? მამა-პაპათა წესიც ცხადზეცხადია და დანაშაულიც. სიმართლე მათ მხარესაა. წრედ შეკრულან ცოდვილის გარშემო. შუაში ისაა, შუაში სიკვდილია და უნდა იხილონ თვალით ეს სიკვდილი, რომ შემდეგ აღარავინ სცოდოს – წინაპართა სჯულს თუ გადახვალ, დაისჯები!

– მოსულან იესოსთან ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეკითხებიან: შენ ვითარ იტყვი? რა უდევთ გულში, რატომ მოვიდნენ, იესოს გამოცდა სურთ თუ ძველ ადათ-წესებში შეეპარათ ეჭვი? შუაში ქალია, ცოდვის ხატი, რომელიც სიკვდილის ხატად უნდა იქცეს მათ თვალწინ, მათი ბავშვების თვალწინ! რისხვა, ეჭვი, მოლოდინი და ...იესო პასუხობს – იესო იმ სინათლეს მიმართავს, საიდანაც იშვა თითოეული მათგანი, რაც მათშია და თუ არ შეშინდებიან და თვალს გაუსწორებენ, ცოცხალ სიტყვად იქცევა. სინათლე შენშია, შენ თავად შეგიძლია იყო პიროვნება, თავად შეგიძლია მიუტევო, თავად შეგიძლია იყო ავტორიტეტი, თავად შეგიძლია შექმნა მორალი! დადექ მცირე ხნით საკუთარი თავის წინაშე, ჰკითხე საკუთარ მეს. იესო არ მოძღვრავს არავის, იესო მხოლოდ საკუთარი სინდის-სინათლის წინაშე აყენებს თითოეულ მათგანს: - *ვინ უცოდველი არს თქვენგანნი, პირველმან დაუტევენ ქვაი მაგასა ზედა*, - იესო არ განსჯის, არც მოძღვრავს,რათა მათ თავით თვისით, ნათლითა თვისით!... *ხოლო მათ ვითარცა ესმა(მათ ისმინეს იესოსი), მხილებულნი სვინდისისაგან, განვლიდეს თითო, იწყეს მოხუცებულთაგან*...ეს იყო იმ დროს,როცა ძე ღვთისა ჯერ კიდევ არ შედგომოდა გოლგოთას და იცოდა , რომ შემდეგშიც გაუჭირდება ადამიანს ნათელში ყოფნა, შეშინდება, მრავალჯერ ეცდება მისგან გაქცევას, თავს გაიმართლებს და იტყვის, რომ წარსული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სინათლე, რაც მასშია. - *მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა.*

– რამდენი საუკუნე გაივლის, სანამ ადამის ძე იტყოდეს: მე ვარ ნათელი სოფლისა...

***– ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ, მადლი თუ გწყალობს ღვთისაო...***

***– ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო..***

ალუდა თვითონ აღასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს ხატობაზე შეყრილი ხალხის თვალწინ – ალუდა თავად ქმნის მორალს ***– უქნივა მობვერს ქედზედა, თავი მოგორავს ძირსაო.***



***თან შაეხვეწა ბატონსა, ნუ შამიცოდებ შვილსაო, ალლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო.***

– პირველი რიტუალი – მუცალის დატირება – კაცის წინაშე შესრულებული რიტუალი იყო. მეორე რიტუალი უკვე ღვთის წინაშე უნდა აღსრულდეს! სიზმრის შემდეგ ალუდა ხვდება, რომ შუა გზაზე ვერ მიატოვებს მუცალის სულს. მუცალი უნდა გარდაიცვალოს, ამიტომ თავად საჯაროდ აღასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს: - *ალლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო!* მტრის მარჯვენის მოუჭრელობა ასე თუ ისე მოითმინეს ხევსურებმა, წმიდათაწმიდა, საიდუმლო რიტუალის ხელყოფა კი მკაცრად ისჯება. ბერდია ჯაგარაშლილი ხალხისკენ იზამს პირსაო – გაგონილაა, იძახდა ასრე აგდება რჯულისა, ხალხო მინდარის გავიგო პასუხი თქვენის გულისა – ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ხალხმა უნდა გამოუტანოს მსჯავრი. წრე იკვრება – შუაში ქეთელაურია, თემის ადათ-წესების შემგინებელი.

***– დაჯარდით ხევსურთ შვილებო, ყველანი დიდნი, მცირენი, სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი...*** წრე თანდათან ვიწროვდება, არავის არ სურს საკუთარ გულში ჩახედვა, საკუთარ სინდისთან(სინათლესთან) პირისპირ დარჩენა,არავინაა წრის დამშლელი. მხოლოდ თვალზე ცრემლმომდგარი,გულხელდაკრეფილი მინდია ჩანს წრის გარეთ.

***– მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირები ...ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი, არ არის შესაბრალები. შესმულებმ ხევსურთ შვილებმა მაიმარჯვიან ფარები, უნდა სცენ ქეთელაურსა, კაპასად ჟღერენ რვალები.*** – და აი, ერთხელ კიდევ გამოჩნდება მოკვეთილი მარჯვენა მუცალისა – ქისტის მარჯვენას ბალღები დაბლა ათრევენ კავითა. მოჭრილი მარჯვენა – მიჯნა ძველი აღთქმის წესებსა და ახალ შესაქმეს შორის. რამდენი საუკუნე გავიდა გოლგოთის მისტერიის შემდეგ, ნეტა კიდევ რამდენი საუკუნე დაიზრდებიან „ბალღები" ცოდვა-ბრალიანი სამართლით? ჯერ მხოლოდ ქრისტიანობის გარიჟრაჟია! მრავალი ბრძოლა გადახდებათ ალუდებს, სანამ კაცად-კაცადში მოყვასის ღვთიური სიყვარული აღენთებოდეს, სანამ თვალანთებული და უმწეოდ მხრებჩამოყრილი მინდია სიყვარულის საკურთხეველზე დაანთებდეს სანთელს.

* * *

**მე ვარ ცხოვრებაი...**

მიდის ალუდა კაცთაგან დაწყევლილ და ღვთისგან დალოცვილ გზაზე. სოფელმა ვერ დაინახა ნათელი, თუმცა, მისტერია შედგა, შეხვედრის მისტერია. მიდის ალუდა ტკივილითა და ჩუმი სევდით სავსე, ერთეულთა ბედისწერას შეუღლებული. ეს მისი ჯვარია, პირადად მისი სატარებელი, ეს სიყვარულია, მის გულში ფესვგადგმული, ეს მისი ცხოვრებაა – *გიყვარდეს მტერი შენი და ულოცვიდე მაწყევართა შენთა!*

ქეთევან აბრამიშვილი

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

დასასრული. დასაწყისი იხ. № 209

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კონდოლიზა რაისი აგვისტოს ომს იხსენებს

**ჟურნალ „ატლანტიკის“ ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა მეტად მოულოდნელი ახალი ამბავი. „კონდოლიზა რაისი ბრალს სდებს საქართველოს ლიდერს საქართველოსთან ომზე“, – ასეთია დოშუა კუჩერას სტატიის სათაური. ქვესათაურში კი დაწერილია: „ყოფილი სახელმწიფო მდივანი გამოდის ბევრი ამერიკელი რესპუბლიკის შეხედულების წინააღმდეგ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ომი 2008 წელს რუსეთმა დაიწყო“.**

შემდეგ ავტორი წერს: „ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სიტყვებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი ჰკრა პოტენციურ მოკავშირეებს ნატოდან, „საშუალება მისცა რუსებს, მოეხდინათ მისი პროვოცირება“ ომზე სამხრეთ ოსეთისთვის“. კუჩერას სტატიის მოულოდნელობა სინამდვილეში არის ის, რომ იგი აბსოლუტურად არასწორია, და მიუხედავად ამისა, ჟურნალმა იგი მაინც გამოაქვეყნა.

უფრო დაწვრილებით: კონდოლიზა რაისი: სააკაშვილმა რუსეთს საშუალება მისცა მოეხდინა თავისი პროვოცირება საბრძოლო მოქმედებებზე.

„ეს აღმაშფოთებელია, – განაცხადა რაისმა „ატლანტიკის“ სტატიასთან დაკავშირებით. – აზრი იმის შესახებ, რომ შემეძლო ბრალი დამედო ქართველებისთვის, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს“.

კუჩერას მთელი სტატია აგებულია ციტატებზე, რომლებიც ამოღებულია უშუალოდ რაისის ამას წინათ გამოქვეყნებული მემუარებიდან. მიუხედავად ამისა, მან როგორღაც შეძლო დაემახინჯებინა სიტყვების აზრი წიგნიდან იმდენად, რომ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ამ სიტყვებს უკვე თავისად არ მიიჩნევს.

„აზრი იმის შესახებ, რომ მე ერთგვარად ბრალს ვდებ სააკაშვილს... ვფიქრობ, რომ ეს, უბრალოდ, უზუსტობაა, – მითხრა რაისმა სატელეფონო ინტერვიუში. – მართლაც, ჩვენ შეშფოთებული ვიყავით, რომ რუსები ახდენენ სააკაშვილის პროვოცირებას და რომ მათ მოახდინეს კიდეც ეს პროვოცირება. მაგრამ ქართველები არავითარ შემთხვევაში არ არიან დამნაშავენი და მე ვფიქრობ, რომ ეს ნათლადაა ტექსტში“.

რაისი ძირითადად ბრალს სდებს პუტინს: „მიმაჩნია, რომ რუსებს სჭირდებოდათ კონფრონტაცია საქართველოსთან. და მე ბრალს ამისთვის პუტინს ვდებ. დიახ, მართალია ის ამ დროს არ იყო პრეზიდენტი, სწორედ იგი ყველაზე მკაცრად ეპყრობოდა ქართველებს. მე ჩემს წიგნში კიდეც განვმარტავ, რომ ბევრ რუსს ლამის პათოლოგიური ზიზღი ჰქონდა ქართველებისადმი...“

თავის წიგნში რაისი ზუსტად აღნიშნავს, რომ რუსების ქართველებისადმი ზიზღის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის ვითარება, რომ ისინი უფრო მუქკანიანები არიან, ვიდრე რუსები.



გაურკვეველია თუ რატომ არის ჟურნალის სტატიაში წინ წამოწეული აზრი იმის შესახებ, რომ აგრესორი საქართველო იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ფაქტების დამახინჯებაა, რომლის მიზანიც რუსეთის ხაზის მხარდაჭერაა.

და კიდევ თემასთან დაკავშირებით: ობამას განტვირთვა რუსეთთან დაკავშირებით – ეს „კატასტროფაა“.

თავისი წიგნის იმ თავში, რომელიც ეძღვნება რუსეთსა და საქართველოს, რაისი საუბრობდა კიდეც იმაზე, რომ ეს რუსი ძალოვანი ცდილობდა, დაეშინებინა იგი, რომ შეერთებულ შტატებს შეესუსტებინა თავისი მხარდაჭერა საქართველოსადმი.

რაისი წერს:

შემდეგ მე შევცვალე თემა, გადავედი საქართველოს საკითხზე და უბრალოდ ვთქვი, რომ მაქვს გზავნილი პრეზიდენტისგან. „ჩვენ შეშფოთებული ვართ იმ რიტორიკით, რომელიც გაისმის თბილისთან და ემბარგოსთან დაკავშირებით, – მშვიდად განვაცხადე მე. – ნებისმიერი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ სერიოზულ გავლენას მოახდენს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე“.

პუტინი უეცრად წამოხტა ფეხზე და დაჟინებით დამიწყო ზევიდან ყურება. „თუ სააკაშვილს ომი უნდა, ის მიიღებს ამას, – თქვა მან. – და ნებისმიერი მისი მხარდაჭერა დაანგრევს ჩვენს ურთიერთობებსაც. ეს იყო პოზა აშკარა ფიზიკური დაშინებისა. ამიტომ მეც ავდექი ფეხზე და ჩემს ქუსლებზე შემდგარმა დავხედე პუტინს ზევიდან. მე გავიმეორე პრეზიდენტის გზავნილი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენ ასე ვიდექით ერთმანეთის პირისპირ, თითქმის ასე ვიყავით“.

შეიძლება არ დაეთანხმო იმას, თუ როგორ მოქმედებდა რაისი ომის დროს, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდა. გონიერი და მოაზროვნე ადამიანები შეიძლება არ დაეთანხმონ ბევრ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ბუშის ადმინისტრაციაში მუშაობის დროს. მაგრამ ფაქტი უდავოა: რაისი 2008 წლის კონფლიქტში ბრალს სდებს რუსეთს და არა საქართველოს.

და მიუხედავად ამისა, კუჩერა და მისი რედაქტორები ჟურნალ „ატლანტიკიდან“, როგორც ჩანს, იზიარებენ კრემლის შეხედულებას ამ მოვლენებზე.

the weekly Standard

# კონდოლიზა რაისი: სააკაშვილმა რუსებს საშუალება მისცა მისი პროვოცირება მოეხდინათ სამხედრო მოქმედებებზე

**ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სიტყვებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი ჰკრა პოტენციურ მოკავშირეებს ნატოსგან, „საშუალება მისცა რუსებს მოეხდინათ მისი პროვოცირება“ ომზე სამხრეთ ოსეთისთვის. ამის შესახებ რაისი წერს თავის ახალ წიგნში, რომელშიც ისევე, როგორც უზბეკეთთან დაკავშირებულ სკანდალში, თავს წარმოგვიჩენს როგორც ადამიანი, რომელიც მოგვიწოდებს მივყვეთ გონების ხმას, ამ შემთხვევაში, იმას, რაც ცდილობს შეაკავოს სააკაშვილის იმპულსირება და ამავე დროს განაიარაღოს ბრძოლისადმი განწყობილება საკუთარი ადმინისტრაციის წარმომადგენლებში.**

აი, როგორ აღწერს იგი თავის შეხვედრას თბილისში სააკაშვილთან სამხედრო მოქმედების დაწყების წინა დღეს:

„ის არის ცხარე და იმპულსური, და ჩვენ ყველა ვღელავდით, რომ ის საშუალებას მისცემს მოსკოვს მოახდინოს მისი პროვოცირება ძალის გამოყენებაზე. ფაქტობრივად, მან თავად წარმატებით მოახდინა კონფლიქტის პროვოცირება მეორე სეპარატისტულ რეგიონში, როდესაც აჭარა იყო რეინტენგრირებული საქართველოს შემადგენლობაში საშინაო და საგარეო ზემოქმედების წყალობით. ჩვენ გვეშინოდა, რომ ამ პრეცედენტს შეუძლია, ჩაუნერგოს მას აზრი, რომ მსგავსნი სიტუაციის გამეორებით მას შეუძლია მიაღწიოს წარმატებებს იმ ტერიტორიებთან დაკავშირებითაც, რომლებიც ახლოს იმყოფებიან პუტინის საყვარელ სოჭთან“.

რაისმა მოუწოდა სააკაშვილს, მოაწეროს ხელი შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

„ბატონო პრეზიდენტო, რაც გინდათ ის გააკეთეთ, ოღონდ არ მისცეთ რუსეთს საშუალება, მოახდინოს თქვენი პროვოცირება. გახსოვდეთ, პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ მოსკოვი შეეცდება, გაიძულოთ თქვენ ჩაიდინოთ რაიმე სისულელე. და ნუ ჩაერთვებით რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან დაპირისპირებაში. არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ დამარცხდებით“, – მკაცრად ვუთხარი მე.

აი, როგორ აღწერს რაისი ომის დაწყებას, კერძოდ კი, 7 აგვისტოს საღამოს:

„მიუხედავად იმისა, რომ დღის დასაწყისში საქართველომ ცალმხრივად გამოაცხადა ომის შეწყვეტის შესახებ, სეპარატისტები აგრძელებდნენ რეგიონის ეთნიკური ქართული სოფლების მიმართულებით სროლას. საპასუხოდ ქართულმა ჯარებმა დაიწყეს მასშტაბური შეტევა ამბოხებულებზე...“

ეს, ასე თუ ისე, ეთანხმება იმის აღწერას, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ომის დაწყების წინა დღეს, ევროკავშირის თვალთახედვით, მაგრამ გარკვეულწილად არა მთავარი მხურვალე მხარდამჭერების შეხედულებას ვაშინგტონიდან, სადაც ძველებურად სწამთ, რომ „ომი რუსეთმა დაიწყო“. პირველ დღეებში, როგორც ჩანს, თეთრ სახლშიც ეგონათ, რომ ომი რუსეთმა დაიწყო, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები კონფლიქტში ჩარევის საკითხს განიხილავდა საქართველოს მხარდასაჭერად. აი, როგორ აღწერს რაისი ეროვნული უშიშროების საბჭოს პირველ სხდომას საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ:

„სხდომა მიმდინარეობდა საკმაოდ მძაფრად, გაისმოდა ბევრი მხურვალე განცხადება რუსეთის მისამართით. გარკვეულ ეტაპზე კამათში ჩაერთო სტივ ჰედლი (მაშინ მას ეკავა თეთრი სახლის მრჩეველის პოსტი ეროვნული უშიშროების საკითხებშიძ, რასაც იგი იშვიათად აკეთებს. ეს მოხდა ცხარე საუბრების პერიოდში იმის შესახებ, თუ რის გამოც შეიძლებოდა დამუქრებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. „მე მინდა დავსვა საკითხი, – თქვა მან თავის ჩვეულებრივად თავშეკავებული მანერით. – ჩვენ მზად ვართ, ჩავერთოთ ომში რუსეთთან საქართველოს გამო?“. ოთახში მდუმარება ჩამოვარდა, ჩვენ დავმშვიდდით და დავიწყეთ უფრო ნაყოფიერი საუბარი იმ ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა მიგველო ჩვენ“.

ჩვენ უკვე გვქონდა მოსმენილი „ცხარე საუბრების შესახებ სხვა წყაროდან, კერძოდ კი, რონალდ ასმუსისგან, რომელიც წერდა, რომ თეთრ სახლში განიხილავდნენ საკითხს შეერთებული შტატების მიერ როკის გვირაბის შესაძლო დაბომბვის შესახებ, რომლითაც სამხრეთ ოსეთში შემოდიოდა მიწოდებანი რუსეთიდან... სამწუხაროა, რომ 2008 წლისთვის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი უკვე გადადგა. ასე რომ, მის წიგნში ეს საკითხი უკვე არ განიხილებოდა, რობერტ გეიტსი კი, რომელმაც იგი შეცვალა, როგორც ჩანს, არ არის მოყვარული წეროს ამგვარი დაწვრილებითი მემუარები.

დაწვრილებითი ამბები: რონალდ ასმუსი: არ შეიძლებოდა დაგვეშვა ახალი ცივი ომი.

სამხედრო მოქმედებათა დამთავრების შემდეგ რაისმა სააკაშვილთან ერთად გამართა ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელზეც ამ უკანასკნელმა თავის თავს მისცა ნება გადაეხვია ტექსტისგან, რითაც ისე გააბრაზა რაისი, რომ მას „უკვე ლაპარაკიც აღარ შეეძლო“.

პრესკონფერენცია დაიწყო მშვიდად. იმის მიხედვით, თუ როგორ ლაპარაკობდა იგი, მე დავინახე, რომ ქართველს სისხლი უდუღს. პრეზიდენტი განაგრძობდა საუბარს, ხანდახან ენაც ებმოდა, თითქოს ცდილობდა, გადაეწყვიტა, თუ რა უნდა ეთქვა შემდეგ. სააკაშვილი შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურად, ასე რომ, მე ვიცოდი, საქმე ამაში არ იყო. უეცრად მისმა ფორმულირებებმა აგრესიული ხასიათი შეიძინეს. მან დაიწყო რუსეთის ბარბაროსებად შეფასება, თქვა, რომ მათი ტანკები „აგრძელებენ წინსვლას“ და არ გაჩერდებიან. კეთილი, ვიფიქრე მე, სულ ერთია, მაინც ველოდებოდი რაღაც მკაცრ გამონათქვამებს რუსეთის მისამართით. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. შემდეგ ის თავს დაესხა ევროპელებს, გაიხსენა მიუნხენის კონფერენცია (რომლის ფარგლებშიც ჰიტლერმა მიაღწია დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ხელმძღვანელთა თანხმობას ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის გარკვეული რაიონების ანექსიის შესახებძ და მცდელობა „დამშვიდებულიყო“... მე ისე გაბრაზებული ვიყავი სააკაშვილზე, რომ ლაპარაკიც აღარ შემეძლო...

ხელშეკრულების ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაიმართა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა ბრიუსელში. როგორც აღმოჩნდა, მოკავშირეები გასაოცრად კეთილგანწყობილი იყვნენ სააკაშვილთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგიერთმა მაინც თქვა, რომ მან აჩვენა, თუ ნატოს წევრობის მისი მოქმედებათა გეგმა არ იყო მეტად კარგი იდეა“.

EURASIANET

## დედამიწის ზურგზე




**აშშ-მა წარმატებით გამოცადა ახალი ჰიპერბგერითი იარაღი – იმით შეიძლება დაამხო არახელსაყრელი რეჟიმები**

მანქანამ სამუშაო სახელწოდებით „პროგრესული ჰიპერბგერითი იარაღი“ გადალახა მანძილი კუნძულ კაუაიდან ჰავაის კუნძულებზე ათოლა კვაჯალეიმდე ნახევარ საათზე უფრო მოკლე დროში. უფრო ადრე ამერიკელებმა გამოცადეს ჰიპერბგერითი თვითმფრინავი, მაგრამ ორივე საცდელი გაფრენა ავარიით დამთავრდა.

* * *

**ათენში ანარქისტების გამოსვლა დამთავრდა 89 კაცის დაკავებით, 4 პოლიციელი დაიჭრა**




ანარქისტები ცდილობდნენ, შეჭრილიყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში, მაგრამ შეაჩერა პოლიციამ. მოხდა შეტაკება „მოლოტოვის კოქტეილის“ და ცრემლსადენის გაზის გამოყენებით. ანარქისტებმა მოკლე დროით შეძლეს ცენტრალურ ქუჩაზე ბარიკადის აგება ცეცხლმოდებული ნაგვის ყუთების გამოყენებით, მაგრამ პოლიცია გადავიდა მასობრივ შეტევაზე და ახალგაზრდობა განდევნა.

* * *

**ნიუ-იორკში დააპატიმრეს მოძრაობის „მოახდინე უოლ-სტრიტის ოკუპაცია“ – 200 მონაწილე, დაიჭრა 7 პოლიციელი**



დემონსტრანტების გამოსვლებს ახლავს შეტაკებები პოლიციასთან: წესრიგის ორი დამცველი ჰოსპიტალიზებულია. ქვედა მანჰეტენზე თავმოყრილია ასობით პოლიციური ეკიპაჟი. უოლ სტრიტის თავზე მთელი დღის განმავლობაში დაფრინავს პოლიციის შვეულმფრენი.

* * *

**რუმინეთის პოლიციამ დაიბრუნა იტალიაში გატანილი ჯუჯა დინოზავრების კვერცხები**

სამი უნიკალური გაქვავებული კვერცხი, რომელთა ასაკიც დაახლოებით 67 მილიონი წელია, ექვსი წლის წინათ გაქრა პალეონტოლოგიური გათხრების რაიონიდან ქალაქ ჰაცეგის მიდამოებში, სადაც არის მსოფლიოში ცნობილი „ტრანსილვანიის ჯუჯა დინოზავრების“ პარკი.



მემუარები

***ისტორიას, ცხადია, გამარჯვებულები ქმნიან, მაგრამ მემუარებს პოლიტიკოსები, უფრო მეტად გადამდგარები წერენ. ახლა, როგორც ჩანს, ჯორჯ ბუშ-უმცროსის მარჯვენა ხელის, „ფოლადის მაგნოლიად“ წოდებული კონდოლიზა რაისის ჯერი დადგა. 2008 წელს თანამდებობიდან გადამდგარი ამერიკის შეერთებულიშტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ამჟამად მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობს — იგი სტენფორდის უნივერსიტეტში ასწავლის, შიგადაშიგ ახლანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებს და ზოგჯერ კერძო ვიზიტებით საზღვარგარეთ დადის.***

# კონდოლიზა რაისი: „... უფლისწულმა შავი ფარანჯა მომართვა“

### ლავროვი სააკაშვილის მოხსნას მოითხოვდა

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ გაგანია საომარი მოქმედებების დროს კონდოლიზა რაისს მეტად ხისტი სატელეფონო საუბარი ჰქონია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან. საგარეო უწყების თავკაცმა მოითხოვა, რომ საქართველოს ხელი მოეწერა შეთანხმებაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და თავისი ჯარი ყაზარმებში დაებრუნებინა. მესამე მოთხოვნამ კი სახელმწიფო მდივანი წონასწორობიდან გამოიყვანა.

— მინისტრმა მითხრა, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა წასულიყო. საკუთარ ყურებს არ დავუჯერე, ამიტომაც რეაქცია ინსტიქტური, ყოველგვარი ანალიზის გარეშე მქონდა, — იხსენებს კონდოლიზა რაისი. „— ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე არ ელაპარაკება, — ვუთხარი მე. — ვეცდები ყველას ყურამდე მივიტანო, რომ რუსეთს საქართველოს პრეზიდენტის გადადგომა სურს. მან მითხრა, ეს ამბავი ჩვენს შორის უნდა დარჩესო, მაგრამ ამაზე უარი ვუთხარი.

ამის შემდეგ ქალბატონმა რაისმა ყურმილი აიღო და გაეროსა და მთელ მსოფლიოში თავის კოლეგებთან დაკავშირებას შეუდგა.

### „თვალცრემლიანობა არ მჩვევია!“

კონდის, როგორც მას მოფერებით ჯორჯ ბუში ეძახდა, თავისი შეცდომების აღიარება არ უყვარს. ამიტომაა, რომ რესპუბლიკელთა მთავარ საგარეოპოლიტიკურ ჩავარდნას — ერაყის ომს — იგი ჯიუტად აუცილებლობით ხსნის.

— დაზვერვის მონაცემები უტყუარად მოწმობდნენ, რომ სადამ ჰუსეინი აახლებდა ბირთვულ და ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობას, — ამტკიცებს მის რაისი. — იგი ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა, მან ქიმიური იარაღი შიიტებისა და ქურთების წინააღმდეგ გამოიყენა, საკუთარ ხალხთან გამართულ ომში კი 400 ათასი კაცი დახოცა!

მაგრამ როცა ერაყში ამერიკელ ჯარისკაცთა გაგზავნა თავად კონდოლიზას აღარ სურდა, მაშინ პრეზიდენტი „შეჯდა ვირზე“. ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი თავის მემუარებში წერს, რომ რაისი მასთან ზოგჯერ აცრემლებული მიდიოდა.

— განა ასეთი საქციელი ჩემსას ჰგავს? რაღაც არ მახსოვს, რომ თეთრ სახლში ყოფნის დროს ვიცე-პრეზიდენტთან ოდესმე მაინც მივსულიყავი აცრემლებული, — პასუხობს ჩეინის რაისი თავის წიგნში.




### რატომ აკრიტიკებენ ობამას

ბარაკ ობამას შესახებ კი კონდოლიზა რაისი ძალიან თავშეკავებულად და სიტყვაძუნწად ლაპარაკობს. გამორიცხული არ არის, რომ ეს, გარეკვეულწილად, „რასობრივი სოლიდარობის“ გამოვლინება იყოს.

— ჩემგან არ გესწავლებათ, თუ რას ნიშნავს იყო შავკანიანი. ამას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვგრძნობ, — ამბობს კონდი. — არ მომწონს, როცა რასობრივ თემას იყენებენ, როცა ამბობენ, თითქოს ობამას მისი კანის ფერის გამო აკრიტიკებენ. მას იმიტომ აკრიტიკებენ, რომ იგი პრეზიდენტია, ჩვენ კი პრეზიდენტების კრიტიკისადმი მიდრეკილნი ვართ.

პრეზიდენტის მთავარ პოლიტიკურ შეცდომად მის რაისს ახლო აღმოსავლური პოლიტიკა მიაჩნია, თან საქმე „არაბულ გაზაფხულში“ სულაც არ არის, რომელსაც იგი თავდაპირველად ხოტბასასხამდა. ლაპარაკია ისრაელსა და პალესტინაზე.

— ამჟამად მოლაპარაკებათა პროცესმა საგრძნობლად უკან დაიხია, — ამბობს იგი. — იმედი მქონდა, რომ ობამას ადმინისტრაცია შეძლებდა შეჩერებულ მოლაპარაკებათა გამოცოცხლებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

### „ხელის ჩამორთმევის შემდეგ შხაპის მიღება მინდოდა“

ყოფილ კოლეგებს კი კონდოლიზა რაისი არ ერიდება. მისი მემუარების წიგნის გამოსვლა მუამარ კადაფისთან ანგარიშსწორების დღეს დაემთხვა, რომელსაც კონდის მიმართ უდიდესი სიმპათია ჰქონდა და მას სიმღერაც კი უძღვნა „შავი ყვავილი თეთრ სახლში“. რამდენიმე წლის წინათ კი მის საყვარელ ლიზის პოლკოვნიკის რეზიდენციაში ნაპოვნი ფოტოალბომის კადრებიც აჩვენებს, სადაც მომღიმარი კონდის მრავალი ფოტოსურათია. მაგრამ რაისს ამან გული მაინც ვერ მოხიბლა.

— ყოველივე ეს ძალიან უცნაურია, ცოტა არ იყოს, გულისამრევიც. არ ვიცოდი, რომ ჩემს მიმართ ლტოლვა ჰქონია... ჩემი მოვალეობა იყო იქ ჩავსულიყავი, შეხვედრა ჩამეტარებინა და იქიდან დროზე „დამეხვია“, რაც გავაკეთე კიდეც, — სარკასტულად განუცხადა მან ჟურნალისტებს თავისი წიგნის პრეზენტაციაზე.

ზიზღი დარჩა მას ლიბანის პრეზიდენტთან ემილ ლაჰუდთან 2005 წელს ურთიერთობის შემდეგაც. მისი თქმით, მდოგვისფერი კოსტუმი ხაზს უსვამდა და კარიკატურულ იერს ანიჭებდა მის ხელოვნურ გარუჯვას.

— ხელი რომ ჩამოვართვი, მერე შხაპის მიღება მომინდა, — გაანდამტვერა კონდიმ ლიბანის ექს-პრეზიდენტი.

ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილმა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრემ კი მის რაისს ცხოვრებაში ყველაზე ექსტრავაგანტური საჩუქარი მიართვა.

— ყუთი რომ გავხსენი, შიგნით... შავი ფარანჯა იდო. „ეს საგანგებოდ თქვენთვის შევაკერინე, ჩვენი ქალებიც ასეთებს ატარებენ“, — ნაზად წამჩურჩულა მან. „დიახ, ჩაგვრის ნიშნად“, — გავიფიქრე მე. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს მაინც ძალიან სასიამოვნო იყო.

ყველაზე საშინელი კი რაისისთვის იმავე 2005 წელს სუდანის პრეზიდენტ ომარ ჰასან აჰმედ ბაშირთან საუბარი აღმოჩნდა.

— ბაშირი ძალიან ნელა ლაპარაკობდა, სულ თავს ატრიალებდა, თან ქანაობდა. ისეთი სანახავი იყო, თითქოს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა! — ახლაც ღელავს კონდი.

მისი ყველაზე მეტი სიმპათია კი დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა დაიმსახურა. იგი მას ღია ბარათებს წერდა, რომლებშიც მუდამ ამხნევებდა. თავად ბლერმა თავის მემუარებში ვაშინგტონელ კოლეგებზე დიდი სითბოთი ლაპარაკობს, ახლა კი კონდოლიზა რაისმა, როგორც ჩანს, მის სიკეთეს სიკეთითვე უპასუხა.

**დალი ხუნდაძე**

განცხადება

## წერტილი, რომელიც კონდოლიზა რაისმა დასვა...

**2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული ომის დაწყების გარემოებები (ომისა, რომელმაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ოკუპაცია გამოიწვია), საქართველოში დღემდე რჩება ინტერპრეტაციებისა და სპეკულაციების საგნად. უკანასკნელ დღეებში ომის დაწყების თემის აქტუალიზაციასა და მორიგ საზოგადოებრივ ვნებათაღელვას, რომელიც პარალელურად გაჯერებულია ხელისუფლების მიერ შპიონომანიის ახალი ტალღის აგორებითა და მის მიერ მართული მედიის დემაგოგიური პროპაგანდით, ვფიქრობთ, წერტილი დაუსვა ამ საქმეში დეტალურად ინფორმირებულმა ადამიანმა, ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა. მისი თქმით, ამერიკის ხელისუფლების კატეგორიულ გაფრთხილებას — არ მოეხდინა სამხედრო კონფლიქტისა და მასში რუსეთის ჩართვის პროვოცირება, სააკაშვილმა იმით უპასუხა, რომ „ქართულმა ჯარმა მეამბოხეთა წინააღმდეგ დიდი სამხედრო შეტევა წამოიწყო...“.**

**საქართველოს მოსახლეობის „ტვინების გამორეცხვისა“, უპასუხისმგებლო დემაგოგიისა და სასურველის რეალობად წარმოჩენის დრო დამთავრდა. პოლიტიკური ოპონენტების მტრის აგენტებად გამოცხადებასაც ყავლი გაუვიდა. კონკრეტულ შემთხვევაში კი ელემენტარული ლოგიკა მოითხოვს, ნაციონალური მოძრაობის „ინტელექტუალურმა ავანგარდმა“ არჩევანი გააკეთოს: ან თავი დაანებოს დემაგოგიურ პროპაგანდას, ან კონდოლიზა რაისიც „პუტინის აგენტად“ გამოაცხადოს.**

**დარწმუნებულნი ვართ, საქართველოში შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობა ძირეულად შეცვლის ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ ვითარებას და იმის შესაძლებლობასაც გააჩენს, რომ ხელისუფლების შეცვლის კვალდაკვალ სახელმწიფოებრივ დონეზე რეალურად დაიწყება მიზანმიმართული პოლიტიკური და დიპლომატიური მოქმედებები ჩვენი უმთავრესი ტრაგედიის აღმოსაფხვრელად — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.**

„ქართული აკადემია“.
17.XI.2011

გამოხმაურება

# ქართველი ჟურნალისტი, ეგვიპტელზე ნაკლები, ვინმემ შეჭამა?..

**აგერ „გუშლამ“ ტელევიზორით ეგვიპტელ კალმოსნებთან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის კადრები ვნახე და ფიქრი გამიჩნდა, ალბათ, არაერთ სხვასთან ერთად: კი მაგრამ, ქართველმა ჟურნალისტებმა რა დააშავეს, ეს მიხეილ-ბატონი ქვეყნის მეთაურობის რვა წლის სიგრძეზე ერთხელაც რომ არ შეხვედრია კითხვა-პასუხის რეჟიმსა თუ ფორმატში (მოდური გამოთქმები რომ ვიხმაროთძ?**

**დიდის ამბით უხდიდნენ სტუმრები მადლობას მაღალ მასპინძელს — აქაოდა დრო რომ გამონახა, ჩვენთვის რომ მოიცალა და მიგვიღოო; მიუტევე, ალაჰო, რამეთუ არა იცოდნენ, რომ ეგ კაცი დღედაღამ სახელმწიფო და საქვეყნო საქმეებით როდია დაკავებული და თავის ძვირფას დროს მეტწილად საზღვარგარეთ თუ ბათუმსა და ყვარლის რანჩოს შორის მგზავრობებს, გრიალსა და ღონისძიებათა საპიაროთა წიალ ანდომებს?..**

**შეხვდეს, ბატონო, ქართველ, შინაურ ჟურნალისტებსაც, აღირსოს იმათაც შენდობა და დასტყუოს, ეგება, ინტრიგული კითხვებიც... რაო, თუ ბიძინა ივანიშვილთან სალაპარაკოდ მოხერხდა რამდენიმე გომბიო ტელეჟურნალისტისათვის სასწრაფოდ „კვალიფიკაციის ამაღლების კურსის“ გავლა და „მზაკვრული“ შეკითხვებით აღჭურვა, — პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უფრო ვერაგული კითხვების „მოსმენადი“, „ღირსი“ არ არის?**

**მე, მაგალითად, ასეთ რამეებს „დავაჯახებდი“: მართალია თუ არა, ბატონო იმანო, რომ თქვენ, „ხელოვნურ თანამგზავრ“ — ვერასთან (გაგრძელებით, ვერონიკასთანძ ერთად გაიჩხირეთ ანაკლიის სასტუმროს ლიფტში, ტერაქტის მირაჟის ქვეშ აყვირდით და მერე „ცხრაკლიტულში მდგომარედან“ დახსნილი, სკამითა და წიხლებით დაერიეთ იქაურ პერსონალს? რომ გვარიანად შემთვრალმა პატრულს ავტომობილი წაართვით და აეროპორტში ნიკიტა მიხალკოვთან შესახვედრად გაქროლდით? ან ამგვარი, ნაკლებინტრიგული შეკითხვითაც მივმართავდი: ეს მილიარდდოლარიანი საპრეზიდენტო რეზიდენცია იმად ააშენებინეთ, რომ თქვენი ძვირადღირებული დროის „ლომის წილი“ თუ ამხელა ნაწილი თბილისმილმა დაჰყოთ და ავლაბრის სასახლეში აგრე იშვიათად შეიხედოთ?.. და კიდევ რომ ბევრია შესაკითხი? ოღონდ ეღირსებაო ლუხუმსა ბრიფინგის თავზე შადგომა?..**

**ბერდია ბედოიძე**

განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ელვა“ ჰყიდის: სხვადასხვა ზომის ხრახნებს, საყელურებს, ჭანჭიკებს, ლურსმანს, შესაფუთ ლენტას, ექვსკუთხა ფოლადის ღეროებს, ნახშირბადიან ფოლადის ღეროებს, სოლიდოლს, წებო ბფ-2 და ბფ-4, პლასტმასის ბოთლებს, მეტალოსახელოებს, შენადნობ „როზე“-ს, შენადნობ „ვუდ“-ს, პოლიხლორვინილის ლენტას, ტექსტოლიტის ფურცლებს, მშრალ ფორორეზისტს, ორგმინას, ტრანზისტორებს, დიოდებს, მიკროსქემებს, კონდენსატორებს, სტაბილიტრონებს, შემაერთებლებს, გადამრთველებს, მიკროტრასნფორმატორებს, ჩამრთველებს, დამჭერებს, დროსელებს, რეზისტორებს, სხვადასხვა ტიპის ნათურებს, დინამიკებს, ელექტრორელეებს, ფერიტებს, რეზონატორებს, ოპტრონებს, შტეფსელებს, მიკროძრავებს, მექანიკურ საკეტებს, მონეტის მექანიზმებს, მოზაიკის სახეხ აპარატებს, წყლის ვენტილებს, პისუარებს.**

**საქონლის ნახვა შესაძლებელია მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) №5, სს „ელვა“, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, ცნობები ტელეფონით 790 605 302 ან 599 291 892.**

**ფასები შეთანხმებით.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ჭადრაკი

# ქართული სამაია - მსოფლიოზე



**ხორვატეთში მიმდინარე სენიორ მოჭადრაკეთა 21-ე მსოფლიოს ჩემპიონატში სამი ქართველიც მონაწილეობს – ქალთა ტურნირის რეიტინგფავორიტი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, სენიორებში მსოფლიოს პირველობების გამარჯვებული და პრიზიორი თამარ ხმიადაშვილი, მსგავსი შეჯიბრებების დებიუტანტი ნინო მელაშვილი. უკვე მიილია სამი ტური.** გაფრინდაშვილმა ორი პარტია მოიგო, ერთშიც ყაიმს დასჯერდა და 2,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფს. ხმიადაშვილსა და მელაშვილს 2-2 ქულა აქვთ. 3-3 ქულით ბოლო ტურში ხმიადაშვილის მძლეველი სვეტლანა მედნიკოვა და ლუდმილა საუნინა დაწინაურდნენ.

ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ 6 ტური გაიმართება.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# გვალვა I წრის ფინიშზე

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის I წრის დასკვნითი სათამაშო დღე წარუმატებელი აღმოჩნდა როგორც ქართველი ლეგიონერებისთვის, ისე მათი კლუბებისთვის.**

ეს განსაკუთრებით თორნიკე შენგელიაზე ითქმის, რომელიც, მართალია, დიდებულ სეზონს ატარებს როგორც ეროვნულ ნაკრებში, ისე „შარლერუაში", მაგრამ ამჯერად თელ-ავივის „მაკაბისთან" სტუმრად წაგებულ მატჩში – 59:69 უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდა. 0 ქულა და 2 მოხსნა – ასეთია ჩვენი თანამემამულის მოკრძალებული პირადი მონაგარი 13 წუთში.

შედარებით უკეთ იასპარეზა ზაზა ფაჩულიამ, თუმცა 5 წუთში მოგროვებული 2 ქულა, დაგვეთანხმებით, დიდი ვერაფერი სატრაბახოა.

რაც შეეხება მის თურქულ კლუბ „გალათასარაის", მან შინ 20-ქულიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა „ბარსელონას", თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდა – 66:70.



**II წრე 23 ნოემბერს დაიწყება, ხოლო სადღეისოდ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:**

**„ა" ჯგუფი.** „ტაუგრესი", „ფენერბახჩე", „კანტუ" – 3-3, „ბილბაო", „ნანსი", „ოლიმპიაკოსი" – 2-2 მოგება.

**„ბ" ჯგუფი.** ცსკა – 5, „პანათინაიკოსი", „უნიკახა" – 3-3, „ბროზე" – 2, „ზაგრები", „ჟალგირისი" – 1-1 მოგება.

**„გ" ჯგუფი.** „მაკაბი" – 4, „რეალი", „პარტიზანი" – 3-3, „მილანი", „ეფეს პილსენი" – 2-2, „შარლერუა" – 1 მოგება.

**„დ" ჯგუფი.** „ბარსელონა" – 5, „სიენა" – 4, „უნიქსი" – 3, „გალათასარაი" – 2, „ოლიმპია" – 1, „პროკომი" – 0 მოგება.

დარბაზბურთი

# რეაბილიტაცია



**კოშმარული სტარტის შემდეგ თბილისის „იბერია სთარმა" ძალლონე მოიკრიბა და პორტუგალიაში მიმდინარე ევროთასის ელიტრაუნდის მეორე ტურში რუმინულ „ტირგუ მურეშთან" მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებით – 7:3 შელახული პრესტიჟი ნაწილობრივ აღიდგინა.**

ტრადიციისამებრ, კარპატელებთან ბრძოლის ბედი ჩვენი გუნდის ბრაზილიელმა ლეგიონერებმა გადაწყვიტეს – 6 გოლი, აქედან „დუბლი" მელომ შეასრულა.

პლეი-ოფის საგზურის დაუფლების მიზერული შანსის გამოყენებას საქართველოს ჩემპიონი ბოლო მატჩში ლისაბონის „სპორტინგთან" შეეცდება.

ბატუტზე ხტომა

# საგზურის შანსი რჩება

**ბრიტანულ ბირმინგემში გრძელდება ბატუტისტთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანმა ლუბა გოლოვინამ იასპარეზა. საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისელი სპორტსმენი ვარჯიშის ბოლოს ლეიბს შეეხო და ძვირფასი ქულები დაკარგა, რამაც ფინალს მიღმა დატოვა – ლუბამ 96,899 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა.** რვა საუკეთესოში კი ერთბაშად ოთხი ჩინელი აღმოჩნდა, მაგრამ დებულებით მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ ორი შემორჩა – პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰე ვიენა (104,130ქ და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონი ლი დანი (103,455ქ. მათთან ერთად ფინალში არიან: სამი ოლიმპიადის პრიზიორი, კანადელი მსოფლიოს ჩემპიონი კარენ კოკბურნი (101.990ქ და მისი თანამემამულე, სინქრონულ ხტომებში მსოფლიოს ჩემპიონი როსანა მაკლენანი (100.125ქ, ბელარუსი ტატიანა პიატრენია (100.220ქ, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ანა დოლონაძე (გერმანია, 99.400ქ, კატრინ დრისკოლი (დიდი ბრიტანეთი, 98,765ქ, სავანა ვინსენტი (აშშ, 98.445ქ, რეზერვში მოხვდნენ: ლაურა გალახერი (დიდი ბრიტანეთი, 98,290ქ და ზიტა ფრიდრიკოვა (ჩეხეთი, 97,955ქ. პირველ რვა ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიები დაიმსახურეს. კიდევ ხუთ საგზურს გაისად იანვარში ლონდონის ტურნირზე მეცხრე-ოცდამესამეადგილოსნები გაითამაშებენ, თანაც ამ შეჯიბრებაში ლიცენზიანტი ქვეყნების წარმომადგენლები არ იასპარეზებენ. ვაჟებში ტრავმის გამო თბილისელი თენგიზ კოშკაძე სარბიელზე არ გამოსულა.



მომავალი ორშაბათიდან ბირმინგემში ახალგაზრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება, რომელშიც რამდენიმე ქართველი მოსინჯავს ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

ოლიმპიზმი

# თანამედროვე პოლისის არქიტექტურული მეტაფორა

**ლონდონის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად უწინდელი ვირტუალური გეგმები ახლა კონკრეტრულად ფრთებს ისხამენ. მართალია, ბრიტანეთის დედაქალაქში ყველა სპორტული ნაგებობის მშენებლობის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ოლიმპიადასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნივთი უკვე სავსებით რეალურია. გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის სამეფო ხაზინამ ლონდონის ოლიმპიადისა და პარალიმპიური თამაშების გამარჯვებულთა და პრიზიორთათვის განკუთვნილი მედლების მოჭრა დაიწყო.**




მედლების ესკიზები მასმედიის წარმომადგენლებს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, წლეულს ზაფხულში წარუდგინეს. ამჟამად კი ისინი უკვე სავსებით რეალურ საგნებად იქცნენ. აღსანიშნავია, რომ ინგლისელებმა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე დიდი ზომის მედლები შექმნეს. 400 გრამის წონის მედლების დიამეტრია 85 მილიმეტრი, სისქე – 7 მილიმეტრი. ოლიმპიადის ორი კვირის მანძილზე სპორტის 302 სახეობაში 2100 მედალს დაარიგებენ.

უნდა ითქვას, რომ ლონდონი „სტაჟიანი" ოლიმპიური ქალაქია – აქამდე მსოფლიო სპორტის ეს უდიდესი ფორუმები იქ 1908 და 1948 წლებში ჩატარებულა. ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ ამ ჯერზე მედლების დიზაინერებმა რაღაც განსხვავებულის შექმნა გადაწყვიტეს. ერთი წლის მუშაობის შემდეგ მათ მედლების ცალ მხარეს ძაფის გორგალის მსგავსი რამ გამოქნეს. მედლის ავერსზე ოლიმპიადა – 2012-ის ემბლემა ძაფების უცნაური გადახლართვის ფონზეა გამოსახული, რევესზე-ფართენონიდან მომავალი ნიკე. მედლის ავერსის გამოსახულებას მისი ავტორები „თანამედროვე ქალაქის მეტაფორად, არქიტექტურულ გამოსახულებად" განმარტავენ.

**ირმა ირემაშვილი**

ინტერნეტიდან

## აღმოსავლური ლიგაც იქმნება?!

**ბულგარეთში აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ გამოაცხადეს ფეხბურთში ახალი საერთაშორისო ტურნირის შექმნის შესახებ. ის იქნება აღმოსავლეთევროპული ლიგა, რომელმაც სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს კლუბების ფინანსურ გამძლეობასა და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.**



„ჩვენ მრავალგზის განვიხილეთ რეგიონში შექმნილი სიტუაცია და პრობლემები. ბევრმა ვაღიარეთ, რომ ფეხბურთი აღმოსავლეთ ევროპაში ძალზე ჩამორჩება ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ფეხბურთს. ამიტომაც ჩვენს კლუბებს უჭირთ ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაში მოხვედრა", – იმოწმებს რეიტერი სოფიის ცსკას პრეზიდენტის დიმიტარ ბორისოვის სიტყვებს.

ახლა უკვე მიმავალ ზაფხულში რეგიონის რამდენიმე ცნობილმა გუნდმა ვერ შეძლო პრესტიჟული ევროპული ტურნირების ჯგუფურ ეტაპებზე მოხვედრა. მათ შორის არიან სოფიის ცსკა და „ლევსკი", ბელგრადის „პარტიზანი" და „ცრვენა ზვეზდა". აგრეთვე ბუქარესტის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი".

გეგმის შავი ვარიანტი ითვალისწინებს ტურნირის შექმნას, რომელიც სექტემბრიდან მაისამდე გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი, გაყოფილი რვა ჯგუფად შემდეგ იქნება პლეი-ოფის სტადია, რომელსაც შეუერთდებიან ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის წარუმატებელი გუნდები.

## მერე რა, რომ ჟურნალებში არ იწვევენ

**თუმცა ახლა პორნოინდუსტრიაში ბრწყინავს და ადრე კი პროფესიონალი ფეხბურთელიც იყო, მაგრამ ევა როოზს, სამარა სამერადაც რომ იცნობენ, რატომღაც არ იწვევენ ჟურნალები Maxim, Playboy და სხვა მისთანანი. ალბათ ბოლო პროფესია უშლის ხელს.** ევამ (იგივე სამარამძ ივლისში საარბრიუკენში საერთაშორისო გამოფენაზე შოუ-პროგრამაც კი წარადგინა, ოქტომბერში კი ქალიშვილმა მონაწილეობა მიიღო შოუში Glamourotic Night, სადაც კინაღამ მთავარ ვარსკვლავად იქცა. მიწვევა, შესაძლოა, მაინც შედგეს. ამიტომ მუხლჩაუხრელად უნდა იშრომოს პორნოინდუსტრიის სარბიელზე, და, რაც შეიძლება, ხშირად გამოჩნდეს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.



მეკარე

# კასილიასი – ყველა დროის რეკორდსმენი

**ესპანეთის ნაკრების მეკარემ იკერ კასილიასმა დაამხო ყველა დროის რეკორდი თავის ეროვნულ ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშები მატჩებით.**



**16 ნოემბრის ღამეს მან ნაკრებში ითამაშა 127-ე შეხვედრა, რითაც გადაასწრო მეკარე ანდრონი სუბისარეტის მაჩვენებელს (126ქ, ის კი ესპანეთის ნაკრებში 1985-1998 წლებში თამაშობდა.**

ბოლო მატჩი იყო ამხანაგური შეხვედრა კოსტა-რიკას ნაკრებთან, რომელიც ფრედ 2:2 დამთავრდა. პირველ ტაიმს ესპანელები 0:2 აგებდნენ, მაგრამ დავიდ სილვასა და დავით ვილიას გოლებით გადაურჩა დამარცხებას.

კასილიასმა ნაკრებში პირველად 2000 წლის 3 ივნისს ითამაშა, როდესაც 19 წლის და 14 დღის იყო. ის არის ევრო-2008 წლისა და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული.

კონკურსი

# „შედევრი ვინა თქვა ცოცხალი მგოსნისა“...

**ყოველწლიური პროზის კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ მერე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამჯერად მუზის ნაკრძალში გასეირნებას გვთავაზობს. თსუ-ს გაზეთმა „ლიტერატურულმა სალონმა“ ჟურნალისტისა და პოეტის ლაშა გახარიას სახელობის პრემია დააარსა.**

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში დაბადებულმა და გაზრდილმა პოეტმა დედაუნივერსიტეტის კარი 1967 წელს შეაღო. აქ დაეუფლა „საბაქართულს“, აქ შეიწამლა ლერწი ჰწკარები“ და როგორც თვითონ ამბობს, მუზაც ნიას იებით სწორედ აქ იუღლა. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა „ნალდ პოეტად“, „გრანელის პლანეტელად“, „ლადოს მემკვიდრედ“ და „ახლის მჩხრეკელად“ აღიარეს. მეგობრებმა, ახლობლებმა და მეზობლებმა კარგად იცოდნენ და იციან დაზმირლაშა გახარიას ფასი – (2003 წელს ჩხოროწყუს რაიონში ვარსკვლავი გაუხსნეს, მშობლიურ სკოლას კი მისი სახელი უწოდეს). პირველი სხივით ლექსგამხელილი“ სხვადასხვა გაზეთებში აქვეყნებდა შედევრებს... დიპლომისეულ პროფესიას მოეკიდა, ბედისწერას ცოტათი წაუყურისძირა – ლექსების წიგნად შეკვრას არა და არ ჩქარობდა. მართალია, სიცოცხლის ბოლო წლებში კრებულ „მუზის პაუზის“ გამოცემას მოესწრო, მაგრამ დანარჩენს – „99 და ერთი“, „წაშლილი ღამე“ – ვერ მოესწრო). 56 წლისა წავიდა ამქვეყნიდან. მისი თქმისა არ იყოს, **„შედევრი ვინა სთქვა ცოცხალი მგოსნისა, შედევრი საფლავით ამოდის!..“**

ეს წინათგრძნობა აუსრულდა პოეტს.



სასიხარულო და მისასალმებელია, რომ ახალმა თაობამ, სტუდენტობამ, საზოგადოების ჯანსაღმა ძალამ ითავა ლაშას პოეზიის წინა პლანზე წამოწევა და დაფასება. გამოცხადდა კონკურსი ლაშა გახარიას პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსის პირობების თანახმად 32 წლამდე ასაკის პოეტებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი, პირადი მონაცემისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, 20 ნოემბრის ჩათვლით უნდა გააგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: Literasalon@yahoo.com-ზე გამარჯვებულს ჟიური დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილ საღამოზე გამოავლენს.

ლაშას სახელობის პრემიის დაწესების სულისჩამდგმელი თსუ-ს „ლიტერატურული სალონის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი, პუბლიცისტი, ჯაკომო ლეოპარდისა და ადამ მიცკევიჩის სახელობის პრემიების, შოთაობისა და თსუ-ს პოეტური მუზის ლაურეატი ლექსო დორეული და მისი მეგობრები არიან.

**– საიდან წამოვიდა ეს იდეა?** – ვეკითხები ლექსო დორეულს.

– გაზაფხულზე უნივერსიტეტმა ლაშას პოეზიის საღამო გამართა. გაზეთმა „ლიტერატურულმა სალონმა“ თავისი იდეა რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს გააცნო, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს პროზის კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა“, პოეზია, რატომღაც „დაჩაგრული“ იყო, ამიტომ მისი წინ წამოწევა გადავწყვიტეთ. რატომ ლაშა?! ვინ, თუ არა ის! მისი შემოქმედება უნივერსალურია, თანამედროვე ტენდენციებით გაჟღენთილი, მოქნილი და საოცრად მუსიკალური. იგი ყველაზე ახლოა უნივერსიტეტელი ახალგაზრდობისთვის. მან ხომ ჰიმნი უძღვნა ამ საგანმანათლებლო ტაძარს – „თეთრ ბატონს“.

**– ვინ შეაფასებს ახალგაზრდა პოეტებს?**

– ჟიური დაკომპლექტებულია პროფესიონალებით. კონკურსანტებს შეაფასებენ: ლექსმცოდნეები, ლიტერატურათმცოდნეები, თეორეტიკოსები და ესთეტიკოსები. მოკლედ, მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი დამფასებლები. ყველაფერი კეთდება გამჭვირვალედ. ბოლო პერიოდში ქვეყანაში გამართულ სხვა კონკურსებისგან განსხვავებით, ეს ღონისძიება ობიექტურობის მაგალითი უნდა გახდეს.

ჟიურის წევრებისთვის გასაიდუმლოებული იქნება კონკურსში მონაწილე ავტორების ვინაობა. დაწესებულია სამი ფულადი პრემია. გამარჯვებულს პოეტის ოჯახი განსაკუთრებულ პრიზს უმზადებს. ავტორების დაჯილდოება გაზეთ „ლიტერატურული სალონის“ ერთი წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოზე გაიმართება. საუკეთესო ლექსები გაზეთში გამოქვეყნდება.

**– როდის გამოცხადდა კონკურსი და სადღეისოდ გვყავნან თუ არა მონაწილეობის მსურველნი?**

– კონკურსი 20 დღეზე მეტია გამოცხადდა. უკვე სამასამდე ნამუშევარია შემოსული, დიახ, დიახ, უკვე 300-მდე მსურველია! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო დღეებში უფრო მეტად აქტიურობენ ხოლმე, ეს ძალიან კარგი შედეგია.

დიდი იმედი გვაქვს, რომ „ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“ პოეტის პრემია ყოველწლიური გახდება (სხვათა შორის, ჩვენი უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფი ცნობილი პოეტის ზინა სოლომნიშვილის წიგნზე „სხივთა წვიმა“ მუშაობს. ორმოცწლიანი პაუზის შემდეგ მისი ლექსები პირველად აიკინძება წიგნად, სადაც გამოუქვეყნებელი ლექსებიც შევა).

**გულნაზ გახარია**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**299-62-77; 599 32-85-76.**

სიახლე

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობები

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს გაფართოებული სხდომა, სადაც განხილულ იქნა შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აგრარული კვლევის რეგიონალური სტრატეგია: „სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და ინოვაციური სისტემების გარდაქმნა და გაძლიერება“, მომხსენებელი (აკად. გ. ალექსიძე). სტრატეგიის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეროვნული აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტის, კვლევითი ინსტიტუტების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ფერმერთა კავშირისა და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.**

სტრატეგია შემუშავებულ იქნა შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის (CACAARI) მიერ. დოკუმენტის შედგენის დროს გამოყენებულ იქნა რეგიონში შემავალი ქვეყნების ეროვნული ექსპერტების მიერ მომზადებული მოხსენებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია, პარიზის დეკლარაცია, აგრარული კვლევის გლობალური კონფერენციის მასალები, ფაოს, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობის არსებულ მდგომარეობასა და აგრარული კვლევების განვითარების აუცილებლობას.

რეგიონალური სტრატეგიის ძირითადი მოთხოვნებია რეგიონში შემავალი ქვეყნების ღარიბი მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა, რაშიც აგრარულ კვლევებსა და მათ ფერმერულ მეურნეობებში დანერგვას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აგრარული კვლევების გარდაქმნაში ძალზედ მნიშვნელოვანია ინოვაციური სისტემების, განათლების სისტემის, დანერგვის სისტემისა და საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება. ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად აგრარული კვლევების დაგეგმვა; კონკურენტიანი გარემოს შექმნა; აუცილებელ ღონისძიებათა დაფინანსების გეგმაზომიერი ზრდა; მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა.

სტრატეგიაში ფართოდაა განხილული მოკლევადიანი (2012-2013), საშუალო ვადიანი (2014-2015) და გრძელვადიანი (2016-2017) ეტაპების განხორციელება, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს სტრატეგიის ძირითად მიზნამდე – ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, აღმოვფხვრათ სიღარიბე ჩვენს ქვეყნებში.

სხდომის შედეგები შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. **შ.ჭალაგანიძემ.**

რეგიონალური სტრატეგია, შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინებით, შეფასებულ იქნა დადებითად. იგი უფრო ვრცლად განხილული და მიღებულ იქნება მ.წ. ნოემბრის ბოლოს, ქ.ტაშკენტში (უზბეკეთი), საერთაშორისო თათბირზე.

# აგრარული სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ ახალი ნომერი

**გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მორიგი 29-ე ნომერი.**

ჟურნალის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ხელი შეუწყოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერულ უზრუნველყოფას; მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას; გააცნოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ახალი მეცნიერული მიღწევები; დაეხმაროს სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებაში. ამ მოთხოვნებს წარმატებით პასუხობს ჟურნალის ახლად გამოსული ნომერიც. მასში დაბეჭდილია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა მიმართულების ამსახველი ნაშრომები. ესენია: მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, მეხილეობა, აგრონიადაგმცოდნეობა, მელიორაცია, მემცენარეობა, მცენარეთა დაცვა, გენეტიკა, სელექცია, მეცხოველეობა, კვების მრეწველობა, ეკონომიკა, მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია და სხვა.

ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა აკადემიკოსების: შ. ჭალაგანიძის, გ. ალექსიძის, გ. ჯაფარიძის, პ. ნასყიდაშვილის, ვლ. ცანავას, ჯ. კაციტაძის, ო. ქეშელაშვილის; წევრ-კორესპონდენტების: თ. კუნჭულიას, ჯ. ონიანის, ო. ლიპარტელიანის, ო. ღორჯომელაძის, გ. პაპუნიძის, თ. ყურაშვილის, ე. შაფაქიძის, თ. ურუშაძის, ასევე დოქტორებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომებს.

აღნიშნული ჟურნალი არის რეფერირებადი და რეცენზირებადი. იგი შედის საერთაშორისო სერიული გამოცემების ნუსხაში და მას აკონტროლებს „პარიზის კლუბის“ წარმომადგენლობა.

ჟურნალში სამეცნიერო სტატიები იბეჭდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მისი მთავარი რედაქტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე, ხოლო მოადგილე – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. სარედაქციო კოლეგიაში ძირითადად შედიან აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, ნომრის რედაქტორია წევრ-კორესპონდენტი ომარ ბედია.




დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს მიხეილ შუბითიძეს. ტელეფონები: 259 56 20 (სამსახური), 236 78 58 (ბინა), 557 26 11 15 (მობილური).

**აკადემიის პრესცენტრი**

ინფორმაცია

# ოთხ ექიმს ლიცენზია შეუჩერდა

**ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭომ ოთხ ექიმს ლიცენზია შეუჩერა. როგორც საბჭოში აცხადებენ, მათი მხრიდან პაციენტთან მკურნალობის პროცესში ბევრი შეცდომა დაფიქსირდა.**

**„ექიმების მხრიდან დარღვევები გამოვლინდა. სერიოზული ხარვეზები იყო დაშვებული მკურნალობაში, რაზეც გადაწყვეტილებები შესაბამისი იყო. დაისვა მათი სახელმწიფო ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი“, – აღნიშნა, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილემ თემურ პირველაშვილმა.**

**ისინი საქმიანობას გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ განაახლებენ. 50 ექიმს წერილობითი გაფრთხილება მისცეს, ერთ კონკრეტულ საქმეზე კი პროკურატურას დამატებითი მასალები გადაეგზავნება.**

**„ფინანსური სანქციების შემოღება მნიშვნელოვანია, მორალური ზარალის გარდა მატერიალური ზარალის ანაზღაურება დაწესდეს ოჯახების და მოსახლეობის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ჯანმრთელობის ხარისხი მნიშნელოვნად უმჯობესდება, მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი შეცდომაა სამედიცინო სერვისების მოწოდებაში. მოქალაქე არ უნდა დარჩეს პირისპირ მარტო ექიმთან, სამედიცინო დაწესებულებასთან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პროფესიულ დონეზე მოხდეს თითოეული ამ შემთხვევის გამოძიება და განხილვა“, – განაცხადა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ.**

**პროფესიული განვითარების საბჭომ სულ 26 საქმე განიხილა.**

ინტერპრესნიუსი



შვილი ევგენი გრიგორაშვილი, ქალიშვილი ლეილა ქაჯაია, რძალი გალინა გავაშელი, შვილიშვილები გიორგი, დავით გრიგორაშვილები, ზურაბ დვალი, შვილთაშვილები, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან რომ გარდაიცვალა ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კაფე „ფრანციას“ უცვლელი დირექტორი, ქალბატონი

**თამარ ილარიონის ასული ქაჯაია**

პანაშვიდი 18, 19 XI, 17 სთ.
დაკრძალვა 20 XI, 14 სთ.
მის: ჭავჭავაძის გამზ. №23.

## სულიერება



# კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისათა ძალთა...

**21 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელის, გაბრიელის, რაფაელის, ურიელის, სელაფიელის, ეგუდიელის, ბარაქიელის და ვარახიელის კრების ხსენებას.**

ანგელოზი ბერძნული სიტყვაა და მაცნეს ნიშნავს. სწორედ ისინი აუწყებენ ადამიანებს ღვთის ნებას. ხატწერაში მთავარანგელოზებს სხვადასხვაგვარად გამოხატავენ.

...ანგელოზები შეიქმნენ ყოველგვარ მატერიალურ სამყაროზე ადრე. წმინდა წერილში ნათქვამია: „ოდეს შექმნულ იქმნეს ვარსკვლავნი მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“. ამგვარად ანგელოზები ესწრებოდნენ ხილული სამყაროს შექმნას და ადიდებდნენ შემოქმედის სიბრძნესა და ძალას.

21 ნოემბერს განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ქუთაისის, მწვანეყვავილას, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის და თბილისის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრები და მონასტრები.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### ოლიგარქი ფულს ტყუილად არ გადაიხდის...



**მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჟურნალი „ფორბსი“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის ბოლო შენაძენს, სანკტ-პეტერბურგის ცენტრში კრიუკოვისა და ადმირალტეისტვოს არხებით და მდინარე მოიკით შემოსაზღვრულ კუნძულ ახალ ჰოლანდიას „2010 წლის ყველაზე ძვირიან „საყიდელს“ უწოდებს.**

კუნძული ახალი ჰოლანდია, რომელიც ოლიგარქმა 400 მილიონ დოლარად იყიდა, დიდი ხნის მანძილზე დახურულ ზონას წარმოადგენდა, რადგან იქ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ობიექტები იყო განთავსებული. პეტერბურგელთათვის იგი ივლისის მიწურულს გახსნეს და მოქალაქეებთან ერთად იქ... აბრამოვიჩი საცოლესთან, დაშა ჟუკოვასთან ერთად დასეირნობდა.

მორიდებულად ჩაცმულ მილიარდერს და მის მეუღლეს, რომლებსაც მცველები მაინცდამაინც ახლოს არ ეკარებოდნენ, ყურადღებას არავინ აქცევდა...

ამჟამად ახალ ჰოლანდიაში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს – აქ თანამედროვე დასვენების ცენტრის, ხელოვნების გალერეის, სპორტული კომპლექსების, ბუტიკების, სასტუმროებისა და ელიტური ბინების გახსნას აპირებენ.

ფულს „რომა ძია“ იხდის...

### უმუზარადო ბაიკერის უაზრო სიკვდილი



**მოტოციკლისტებისთვის მუზარადების აუცილებლად დახურვის შესახებ ნიუ-იორკის შტატში კანონი მიიღეს. მოტოციკლეტის „დაუცველი თავით“ ტარების აკრძალვას ბაიკერების საპროტესტო გამოსვლები მოყვა.** კანონის გაუქმების მიზნით მოწყობილ ერთ-ერთ მოტორბოლაში, 30-წლიანი სტაჟის მქონე უმუზარადო ბაიკერმა თავისი მოტოციკლის ხეირიანად მართვა ვერ შეძლო, „ჰარლეი-დევიდსონის“ საჭეს გადააფრინდა და... თავის ქალის ტრავმის გამო გარდაიცვალა.

### არცთუ ურიგო „კომპენსაცია“

**მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების ყველაზე მსხვილი მწარმოებლის პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, 34 წლის მარკ ჰარდი ცოტა ხნის წინათ თანამდებობიდან გადადგა. საქმე ის არის, რომ ისევე, როგორც მსოფლიო სავალუტო ფონდის ყოფილი პრეზიდენტის დომინიკ სტროს-კანს მას ქალმა სექსუალური ძალადობის მცდელობის ბრალდება წაუყენა.**



ეს ორი ამბავი ერთმანეთს თავისი გამორჩეული იდიოტიზმით ჰგავს. გაუთხოვარმა ქალმა პროფკავშირს მიმართა საჩივრით, რომ კომპანიის ხელმძღვანელი მას გამუდმებით ბიზნესლანჩებზე ეპატიჟება, რომელთა დროს გამორჩეულად ყურადღებას აქცევს, მას კი, სამსახურის დაკარგვის შიშით, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია. თან დასძინა, რომ მარკ ჰარდი, როგორც მამაკაცი, მასში მხოლოდ ნეგატიურ ემოციებს იწვევს.

შიდა გამოძიების დროს გაირკვა, რომ ბატონი ჰარდი ქალს მართლაც პატიჟებდა სადილად თუ ვახშმად, მაგრამ რაიმე სექსუალურ მცდელობებს მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ფულს, კომპანიის ხარჯზე, მუდამ მისტერ ჰარდი იხდიდა, რამაც მთლიანად 18 ათასი დოლარი შეადგინა. თუმცა ეს თანხა აბსოლუტური მიზერია იმ 100 მილიარდ დოლართან შედარებით, რომელიც „ჰიულეტ-პაკარდმა“ ჰარდის მენეჯერობის დროს მოგების სახით ნახა.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე არ იყო, მარკ ჰარდი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო, თუმცა 50 მილიონი დოლარის „დამამშვიდებელი კომპენსაცია“ მიღებული ზარალის არცთუ ურიგო კომპენსაციაა.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში შალიაპინი საფრანგეთში ცხოვრობდა. ის ღარიბ მოქალაქეებს რესტორანში ხშირად ეპატიჟებოდა და მათთან ერთად სადილობდა. მომღერალი ამას პრაქტიკული მოსაზრებით აკეთებდა: იმ პერიოდში რესტორნებში არ ჰქონდათ წვრილი ფული ხურდის დასაბრუნებლად.

● როცა იულიუს კეისარი კვდებოდა, დაიბარა, ისეთი კუბო გამიკეთეთ, რომ ხელები და ფეხები გარეთ მქონდესო. კეისარს სურვილი შეუსრულეს და კუბოს ზემოდან ეწერა: „არც არაფერი მომიტანია და არც არაფერი მიმაქვს“.

● საუდის არაბეთის მეფე იბნ საუდს (1932-1953 წლები) თერთმეტი წლის ასაკში სამი საყვარელი ჰყავდა, 73 წლის მეფის საყვარლების რაოდენობამ 20 ათასს გადააჭარბა.

● მსოფლიოში დღეს უამრავი აკადემიაა, ხოლო პირველ აკადემიკოსად ითვლება პლატონი, რადგანაც მისი სკოლა იყო ბაღში, რომელსაც „აკადემია“ ერქვა.

● 1825 წელს ფრანგ მწერალ ალექსანდრე დიუმას კურიოზი შეემთხვა: დუელის დროს, ფარიკაობისას, შარვალი ჩაძვრა.

● გამოჩენილი ბიოლოგი კარლ ლინეი თავის „ბუნების სისტემაში“ წერდა, რომ მერცხალს შეუძლია წყალქვეშ ჩაყვინთოს და ქვიშაში დაიმალოს. ამას იმიტომ ამბობდა, რომ მერცხლები შემოდგომით უჩინარდებიან და გაზაფხულზე გამოჩნდებიან.

● ბრუტუსი, იულიუსის უახლოესი პირი, კეისრის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო, შეთქმულება მოაწყო სენატორ რესპუბლიკელებთან ერთად და მოკლა კეისარი. პასუხისმგებლობა რომ თანაბრად განაწილებულიყო, ყველა შეთქმულმა კეისარს თითო ჭრილობა მიაყენა. მომაკვდავმა იულიუსმა წამოიყვირა: „შენც, ბრუტუს?“ ორი წლის შემდეგ ბრუტუსმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, მან ვერ აიტანა თავისი არმიის დამარცხება სამოქალაქო ომში.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა


### განცხადება

გვარის დალოცვის ერთ წლისთავთან დაკავშირებით დუნდუებისა და დონდუების გვარის წარმომადგენლებს, გთხოვთ, მობრძანდეთ სამების საკათედრო ტაძარში კვირას, 20 ნოემბერს, 14 საათზე.

დუნდუებისა და დონდუების საგვარეულო კავშირი

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**299-62-77; 599 32-85-76.**

### განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა


## კადრი



## ანეკდოტები

წარმოიდგინე ასეთი სიტუაცია: ქმარი მივლინებიდან ბრუნდება, მაგრამ სახლში კი არ მიდის, პირდაპირ თავის საყვარელს აკითხავს. იქ კი ასეთ რამეს ხედავს: საყვარელი საწოლში წევს და მისი ცოლი ჰყავს ჩახუტებული.
– წარმოვიდგინე, მერე რა?
– რა და, ვინ უნდა დაიმალოს კარადაში?

* * *

პირველი საქორწინო ღამის შემდეგ კმაყოფილი ახალგაზრდა ქალი წამოხტა, სამზარეულოში ყავა მოადუღა და ცოლს საწოლში მიურბენინა. მან ყავა მოსვა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:
– ყავაც სუსტია...



– როგორ გამხდარხარ! ახლა დიეტაზე ხარ?
– ჰო, სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი...
– რას შვებოდი, წვავდი თუ ხარშავდი?
– ვთხრიდი!

* * *

ქმარი ყოფილ თანაკურსელთა შეხვედრაზე იყო. დაბრუნებულს ცოლი ეკითხება:
– მიხო როგორ არის?
– ის პედერასტი ახლა მთავრობაშია.
– ნიკა რას შვრება?
– ო, ის პედერასტი ახლა მაგარი ბიზნესმენია.
– შაქრო რას აკეთებს?
– ის ძაღლიშვილი პედერასტი უკვე ბანკირია.
– ეჰ, ნეტა შენ როდის გაპედერასტდები, ჰა! – ამოიხვნეშა ცოლმა.


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24